ჩვენ ლეონი

ეროვნული ბიბლიოთეკა
140/2
2003
7
12

ქეთი ქარდავა



ზურაბ ჩიქოვანი

ნინო ნიკოლაიშვილი

თბილისის 23-ე სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი იზოლდა რატიანი.

ნინო ქედრბაქიანი

ეკაზარ ბებია

საქართველოს მომავალი

თბილისის 161-ე სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი ნინო ნიკოლაძე.

თბილისის 161-ე სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი თათია პაიჭაძე.

გვანცა და გიორგი გვარამიებ

ნაკადული
ერთეული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2003 წ. № 7

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნათესარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირველდელი სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
შრომა, ნამდვილი განათლება და პასუხისმგებლობა ---------- 3
ანდრო ლეკიაშვილი – მარანში (მოთხრობა) ---------- 5
საოცარი ბიჭი, რომელიც ადამიანის დაავადებულ ორგანოებს ხედავს ---------- 7
„ოდოშხერი“ ---------- 8-14-19-25
თბილი გული და ფაქიზი სული (შენზე ფიქრით რომ ათენებს) ---------- 9
შენ და მშობლები (ტესტი) ---------- 10
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 11
ცისფერთვალა ლამაზმანი (ბუნების კარი) ---------- 12
ლემშვანიერას სკოლა ---------- 16
წუროთმოძღვარი ჭიჭაფორისაკე (მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს) – 18
რატომ ვამბობთ ასე? ---------- 22
რამდენი წლისაა ფეხსაცმელი? ---------- 29
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იწილო-ბიწილო ---------- 32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

22326

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ნაკადულის" საინფორმაციო საკავშირო „ფაქსი"

საბავშვო თეატრების ფესტივალი

ბორჯომში გამართული საბავშვო თეატრების ფესტივალ „მხიარული ნიღბების" გამარჯვებულად სკოლა-სტუდია „ბერიკების" სპექტაკლი „ანა ფრანკის დღიურები" ცნეს. ორ ძირითად ნომინაციაშიც საუკეთესოები „ბერიკები" აღმოჩნდნენ. ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად სალომე ყარალაშვილი იქნა მიჩნეული (ანა ფრანკის როლი), მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებლად კი – შოთა ზაქარაია (სპექტაკლი „გაყრა", ივანე). ბავშვთა იმ თეატრალურ დასებს შორის, რომლებმაც სხვადასხვა ჯილდოები დაიმსახურეს არიან: „საუნჯე 11" (საუკეთესო კოსტიუმები სპექტაკლში „რწყილი და ჭიანჭველა"), „გალა" (კოსტიუმები და პლასტიკა, „მარადიული წრე"), „თეატრალი" (ორიგინალური სარეჟისორო გადაწყვეტა, „რჩეული"), „საზღაპრეთი" (ცოცხალი შესრულებისათვის, „ფისოს სახლი") და სხვ.

ურეკის სკოლის ახალი სიცოცხლე

„იმედის ქალაქ" ურეკში ამოქმედდა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოწადინებითა და დაფინანსებით განახლებულ-გალამაზებული სკოლა. გარდა უშუალოდ რეკონსტრუირებული სკოლის შენობისა, მოსწავლეებმა სკოლის ტერიტორიაზე გაშენებული მშვენიერი სკვერი და სპორტული მოედანიც მიიღეს საჩუქრად. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ქ. ქუთაისის №1 ექსპერიმენტულ სკოლაში აპრობირებული მოდელის მიხედვით წარიმართება, „იმედის ქალაქის" სკოლის ხელმძღვანელადაც სწორედ ქუთაისის ამ სკოლის პედაგოგი, ბ-ნი გიორგი მაღლაკელიძე შეირჩა. ბ. პატარკაციშვილმა პატარა ურეკელებს აღუთქვა, რომ მომავალშიც იზრუნებს, რათა თითოეულ მათგანს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ჰქონდეს.

მელით მანახლებული ცირკი

სულ მალე ბავშვების ერთ-ერთი უსაყვარლესი გასართობი – თბილისის ცირკი კვლავ უმასპინძლებს მაყურებლებს. ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის დაფინანსებით ცირკის შენობას საფუძვლიანი სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა. გამაგრდა საძირკველი, გამოიცვალა სახურავი, საკანალიზაციო სისტემა. დამონტაჟდა გათბობის სისტემა, გალამაზდა და მოწესრიგდა ფასადი, ლურჯად შეიღება შიდა კედლები, განახლდა სკამების საფარი, მანეჟი, საგრიმიოროები, ცხოველების ვოლიერები. მეორე სართულის ფოიეს კედლები ცირკის ისტორიის ამსახველმა ფოტოებმა და მხიარულმა პლაკატებმა დაამშვენა, დამონტაჟდა ახალი ლამპიონები და ა.შ. ასე რომ განახლებულ-გალამაზებული თბილისის ცირკი ჩვეული სტუმართმოყვარეობით უღებს კარს პატარა მაყურებელს.

სვით „პიკოვიტის" ვიტამინები

სლოვენიის ფარმაკოლოგიურ კომპანია „კრკას" წარმომადგენლებმა თბილისის ორი საბავშვო ბაღის, „ბასტი-ბუბუს" და „საპოვნელას" აღსაზრდელებს უფასოდ დაურიგეს „პიკოვიტის" ვიტამინები, ფერად-ფერადი მაისურები და კეპები. ბავშვებმა მადლობა მხიარული კონცერტებით, ლექსებითა და სიმღერებით გადაიხადეს და სიამოვნებით გადაყლაპეს ქველმოქმედთა მიერ შეთავაზებული ვიტამინები.

„შრომა, ნამდვილი განათლება და პასუხისმგებლობა"

„ХЭХОЛІС" ДАМФУДНЕБЕЛІ
Ф-НІ МАНАНА ПАРКАДЗЕ

სკოლა „ჯეჯილში" ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვახტანგ პარკაძის სახელობის კლუბში სასიქადულო მეცნიერთან დაკავშირებულ უამრავ სხვა საინტერესო მასალასთან ერთად თვალსაჩინო ადგილზე მისი ბრძნული აზრები, გამონათქვამებიც არის წარმოდგენილი. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით შემდეგმა გამონათქვამმა მიიპყრო: „წინა კაცი უკანას ხიდიაო" – მე ვამბობ: „წინა კაცის მიერ დაზიანებული ხიდი უკანა კაცმა უნდა შეაკეთოს".

აი ამ ხიდის შემკეთებლებს ზრდიან კერძო სკოლა „ჯეჯილში", რომელიც თბილისში, ი. აბაშიძის ქ.№15-ში, 56-ე საშუალო სკოლის კუთვნილ შენობაშია განთავსებული.

„ჯეჯილი" 1992 წელს დაფუძნდა და იგი პირველი კერძო სკოლაა არა მარტო დედაქალაქში, არამედ საერთოდ საქართველოში. ეს ის დრო იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის დაწყება მოჰყვა, რასაც ყველაფერთან ერთად ქაოსი, საომარი მოქმედებებიც ახლდა თან. დამოუკიდებელი ქვეყნის ახალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი განათლების სისტემას უნდა ეტვირთა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ჩვენი სკოლა კიდევ კარგა ხანს ვერ აუწყობდა ფეხს დროის მოთხოვნებს. სწორედ ასეთ პირობებში გადაწყვიტეს ქალბატონმა მანანა პარკაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ისეთი სკოლის დაფუძნება, რომელიც ახალი საზოგადოების წევრის, თანამედროვე, დამოუკიდებლად მოაზროვნე, ზნეობრივი, განათლებული ადამიანის სწავლა-აღზრდის ოპტიმალური მიკროსამყაროს განსახიერება იქნებოდა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ მიზანს მიაღწიეს.

ნინო ჩივაძე

დღევანდელი „ჯეჯილი" სამსაფეხურიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა.

I საფეხური – დაწყებითი სკოლა, II საფეხური – საბაზო სკოლა, III საფეხური – საშუალო სკოლა. მესამე საფეხური ასეა დიფერენცირებული – ჰუმანიტარული, ეკონომიკური, დიპლომატიური. ამჟამად სკოლის 19 კლასში 340 მოსწავლეა. თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ოცს არ აღემატება, რაც დიდად უწყობს ხელს სწავლების ინტერაქტიური მეთოდის წარმატებით განხორციელებას. მცირერიცხოვან ჯგუფებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ აქტიურად იმსჯელონ, გააანალიზონ ახალი მასალა, დამოუკიდებლად გააკეთონ დასკვნები. ცხადია, მაღალი მიზნები რომ დაისახეს, სკოლის დამფუძნებლებმა იმაზეც იზრუნეს, რომ მათ შესასრულებლად საუკეთესო პროფესიონალები, თანამედროვე დონეზე მოაზროვნე პედაგოგ-სპეციალისტები მოეხმოთ. დღეს „ჯეჯილში" საუკეთესო პედაგოგები, ცნობილი მეცნიერები მოღვაწეობენ, ყველა მათგანს ათვისებული აქვს ინტერაქტიური სწავლების პროგრამა, ყველანი სისტემატურად ეცნობიან სწავლების უახლეს მეთოდებს. ამასთან ბევრ მათგანს, უფრო კი უცხო ენების მასწავლებლებს, საქმიანი ურთიერთობა აქვს დამყარებული ბაირონის და გოეთეს საერთაშორისო ინსტიტუტებთან, საზღვარგარეთელ კოლეგებთან. ხოლო ყოველივე ამის შედეგი მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონე კი არ არის, არამედ ნდობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე აგებული მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთობებიც.

სკოლაში, რომლის დევიზია „შრომა, ნამდვილი განათლება და პასუხისმგებლობა" ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ესახებათ მოსწავლეთა ეკონომიკური აზროვნების განვითარება, მათ მიერ სამეწარმეო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება, ბიზნესის არსის გაცნობიერება. აქ აღზრდილ ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საქმიანი კარიერის დაგეგმვის გზები და საშუალებები, უნდა შეეძლოს ურთიერთობების დამყარება, მოლაპარაკებების წარმართვა, კრიტიკული და ანალიტი-

გაგრძელება მე-4 გვ.

„შრომა, ნამდვილი განათლება და პასუხისმგებლობა"

ახროვნება, გადაწყვეტილებების მიღება.

„ჯეჯილის" დამფუძნებლის, ქალბატონ მანანა პარკაძის და მისი ქალიშვილის, დირექტორის, ქალბატონ ნინო ჩივაძის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მოსწავლეების კომპიუტერული წიგნიერება, მათ მიერ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლება. სკოლის მოსწავლეები მეექვსე კლასიდან იწყებენ პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის სწავლას. იმის წყალობით, რომ „ჯეჯილმა" სოროსის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, სკოლაში კარგად

აღჭურვილი კომპიუტერული კლასი შეიქმნა, რომელიც გარდა უშუალოდ ინფორმატიკისა, სხვა საგნების სწავლებაშიც ეხმარება პედაგოგებს. დღეს აქაური მოსწავლეები ინტერნეტის საშუალებით უკვე თავისუფლად ამყარებენ ურთიერთობას თავიანთ უცხოელ თანატოლებთან, იგებენ მსოფლიოში მომხდარ ამბებს და სხვ.

იმ ასპარეზზე, რომლისთვისაც „ჯეჯილში" ამზადებენ გოგო-ბიჭებს, უცხოური ენების საფუძვლიანი ცოდნის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება, ამიტომ არის, რომ ფრანგულის, ინგლისურის და გერმანულის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ენების შესწავლას მოსწავლეები პირველივე კლასიდან იწყებენ, მეშვიდე კლასიდან კი იწყება გეოგრაფიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინგლისურ ენაზე სწავლება. უცხოური ენები უცხოურ ენებად, მაგრამ მთავარი და უპირველესი რომ მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფიაა, ეს „ჯეჯილში" დიდ-პატარას სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, ამიტომ ეკიდებიან ამ საგნებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ყველანი.

ჩვენ თავში ვახსენეთ ბატონი ვახტანგ პარკაძე და „ჯეჯილში" არსებული მისი სახელობის კლუბი. საქმე ის არის, რომ ქალბატონი მანანა ამ დიდი მეცნიერის და დიდი ადამიანის ქალიშვილი გახლავთ, კლუბი „მატიანე" კი ფაქტობრივად ამ დიდებულ ქართულ ოჯახში სათუთად დაცული უნიკალური მასალებისა თუ ექსპონატების ბაზაზე შექმნილი მუზეუმია. საქართველოში ფიზიკის ისტორიის ფუძემდებელი და პირველი მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერებათა პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ პარკაძე მთელი სიცოცხლე დიდი რუდუნებით აგროვებდა დოკუმენტურ მასალას ქართველ და უცხოელ მეცნიერთა უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებზე, საკუთარ მოღვაწეობა-საქმიანობაზე. როდესაც ქალბატონმა მანანამ ამ მამისეული განძის სკოლაში გადმოტანა განიზრახა, იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნიკის მუზეუმის და კლუბის შექმნას ისახავდა მიზნად, ხოლო კლუბ-მუზეუმის დანიშნულებას იგი დღესაც ასე განსაზღვრავს: გაუღვივოს მოსწავლეებს ინტერესი და პატივისცემა წინაპართა მეცნიერული აზროვნებისადმი, ხელი შეუწყოს მათი ინტელექტის განვითარებას და მათში იმის რწმენის დანერგვას, რომ მეცნიერების დაუფლება მხოლოდ წიგნზე მუშაობით, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთკავშირით არის შესაძლებელი.

„ჯეჯილის" მესვეურთ სკოლის მოსავალთან დაკავშირებით დიდი და საინტერესო გეგმები აქვთ, რომელთა განხორციელება ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის აღორძინება-განვითარებას, ძლიერი დამოუკიდებელი საქართველოს აშენებას წაადგება სასიკეთოდ. არსებობის 11 წლის მანძილზე სკოლის მიერ მიღწეული წარმატებები კი იმაზე მეტყველებს, რომ ყველა სამომავლო ჩანაფიქრიც უთუოდ განხორციელდება.

მარანში

ანდრო ლეკიაშვილი

მოთხრობა

–უჰ, ძლივს არ მოვითქვი სული?! – აღმოხდა ქანცმილეულ სარცხს. მას მთელი დღე ქვევრს ახეხინებდნენ. ვეება ჭურჭლის რეცხვაში გვერდები შემოსცვეთოდა.

უკვე რამდენი დღე იყო, მარანში სართველო სამზადისი გაეჩაღებინათ. ალაგებდნენ იქაურობას, რეცხავდნენ, ასუფთავებდნენ.

–ხუმრობა ხომ არ არის ხუთსაპალნიანი ქვევრის გაწკრიალება! – თქვა სარცხმა კმაყოფილებით.

–ხმა ჩაიწყვიტე! ისედაც დილიდან შენი შხუილით ყურთასმენაა წაღებული, – დაუტია მას კედლის გასწვრივ გაწოლილმა ცაცხვის საწნახელმა, რომელიც პირთამდე სიმინდის ტაროებით გაევსოთ.

–ნეტავ, ჩვენ რას გვემართლება?! თითქოს ჩვენ გამო იყოს გაუქმებული! – გადაულაპარაკა სარცხს იქვე კუთხეში მიყუდებულმა ხაპირმა. ორხელიანი გოგრის ხაპირით წეღან ქვევრიდან ნარეცხი წყალი ამოაქციეს. ის ჯერაც წყლით იყო გაწუწული.



–ოღონდაც, – კვერი დაუკრა გრძელტარიანმა მაწაურმა, რომლითაც ესეს არის ქვევრი ამოამშრალეს.

–ოღონდაც, – ამოიძახა მიწის სიღრმიდან ქვევრმა.

–ამ ამოფუღუროებულ მორს არ უყურებთ, კიდეც რომ დიდგულობს! მადლობელი იყოს, აქაურობას რომ არ მოაშორეს, – ჩაიქირქილა საწურავმა, იქვე, საწნახელის გვერდით, ხის სკამზე ამაყად წამოჭიმულმა.

–ერთი ამას დამიხედეთ! დიდი ხანია მარანში შემოდგი ფეხი და მარაქაში გაერია? – მკვახედ მიახალა საწნახელმა თავის საძულველ მტერს. მას შემდეგ, რაც მარანში რკინის მანქანა გამოჩნდა, საწნახელში ყურძენს აღარ წურავდნენ და მას სხვადასხვა ჭირნახულის შესანახადღა იყენებდნენ.

–რაო? ამოფუღუროებული მორიო?! – გაკაპასდა საწნახელი. – აბა, თვალები კარგად მოიფშვნიტე, იქნებ ჩემს გათლილ-გამოყვანილ გვერდებსა სწუნობ?! უხეიროდ გამოჩორკნილი არ გეგონო, ძველი ოსტატის მადლიანი ხელითა ვარ გათლილი ... ეჰ, რამდენი ხნის ამბავია, მაგრამ ისე მახსოვს, თითქოს გუშინ იყო ... მზვარეში ვიზრდებოდი, აშოლტილი, მთელ ტყეს ზემოდან გადავცქეროდი, ორი კაცი ტანზე მკლავებს ვერ შემომაწვდენდა ... ათას ხეში მე გამომარჩიეს. ბევრი ოფლი დაიღვარა ჩემს მოჭრაზე, რის ჟოფით წამომაქციეს მიწაზე, გამზომეს და გამომზომეს, გული ამომიღეს, გარედანაც გამთალეს, სულ ლარში გამომივანეს. მერე ტყეში დამტოვეს პირქვე დამხობილი. ქარმა და ყინვამ ტანში დამიარა, გამომაშრო, გამამჩატა ... ახლა ტყიდან ჩემს გამოტანას არ იკითხავთ? დამეზვიენენ მაგარი ვაჟკაცები, გარდიგარდმოდ კეტები დამაკრეს, აქეთ-იქიდან მხრებით შემიდგნენ, გზაში მალიმალ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ეჰ, რაც იმათ ჯაფა დაადგათ! რის ვაი-ვაგლახით სახარე გზამდე გავაღწიეთ ... იქიდან კი ხარები შემიბეს, თრევა-თრევით შინ მომიტანეს ... აბა, ახლა უნდა გენახათ, როგორ გამომიყვანა ოსტატმა! გამაწკრიალა, გამწმინდა, გამაკოსტავა, სარკესავით გამაკრიალა ... ბოლოს თავებიც ჩამისხა, თანგებითა და ხოლებით გამიმაგრა ...

ჩემი ძველი პატრონისაგან ხშირად გამიგონია: ამოდენა საწნახელი სოფელში მეორე არ შეგულებია. ჰაი, დედასა! ოცი გოდორი ყურძენი ძლივს მაესებდა ... შედგებოდნენ ყურძენზე მწურავები, გადიგამოდიოდნენ, თან სიმღერას აუბამდნენ ...

–ტკბილი, რომ გამოდგაფუნდებოდა ინდურიდან, მეც იქვე დავხვდებოდი, ზედ დამედინებოდა, მიწანწკარებდა ნება-ნება ქვევრებში ... – ჩამოართვა სიტყვა საწნახელს ხის ღარმა. ის საწნახელის უკან იყო მიგდებული, დიდი ხნის უხმარს, დამტვერილს, აქა-იქ აბლაბუდაც მოსდებოდა ...

–თქვენ რა გენადველებოდათ მწურავების ჭაპან-წყვეტა, – ჩაილაპარაკა საწურავმა მანქანამ.

–ეჰ, აბა ახლა რიღას მაქნისი ვარ, დღეს თუ ხვალ აქაურობას მომაშორებენ. – დაიწუწუნა ღარმა.

–განა მე კი კარგი დღე მადგას?! – გადმოსძახა კაჩხაზე ჩამოკიდებულმა წნელის ხელკალათამ. – რამდენი ხანია ვენახში განავარდება აღარ მღირსებია. დაანჩარუნებენ რთველში რკინის ვედროებს ... ეგ გვირჩევნია საკრეფადო – არც წვენი გასდის, არც მარცვალი გვეკარგება და არც ყურძენი იჟღლებაო. მე თუ მკითხავთ, ეზარებათ კალათების წვნა და ეგ არის.

–ვაი დედასა! – შეეხმიანა თახჩიდან ძველებური სასხლავი, დიდი ხნის უქმად გდებისაგან ჩაჟანგებული. – განა მეც ამიტომ არ გამცვალეს იმ დაღრეცილ ვაზის მაკრატელში?! სასხლავად უფრო მარჯვეაო, იმას კი აღარ დაგიდევენ, ღერწი რომ იჟღლება სხვლაში ...

–ჰაი, გიდი! სადღა აქვთ ჩვენი ჟადრი, – დაიჩივლა მის გვერდით ყელიანმა გოგრის ძაბრმა, – აბა, მე როდისღა მიკარებენ ღვინის გადაღებაში?! რკინის ძაბრებსა და საწურავებს დაუდგათ დღე ...

„რით ვერ მიმხვდარან, ამათი დრო რომ წავიდა", – გაიფიქრა ახალთახალმა სპილენძის საწურავმა, რომელსაც სულ ლაპლაპი გაჰქონდა.

–ახ, ერთი ჩემი ძველი პატრონი გაიცოცხლა და აქ შემოახედა ... მარანი მარანს რომ აღარა ჰგავს, – კვლავ აბუზღუნდა საწნახელი, – რა არ შემოგვიყარეს აქ ... დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! – ე მანდ ეგ გაბღენძილი ღვინის კასრი რომ შემოაგორეს, იცოდეთ, კარგ დღეს არ დააყრის ქვევრებს ...

–ღმერთმა ნუ მოგვასწროს! – ელდანაკრავივით წამოიძახა სარცხმა.

გაგრძელება მე-6 გვ-

–უწინამც წყალსაც წაუღია! - მიაწყევლა ხაპირმა.

–ვაი ჩვენს დღეს! – შეიცხადა ქვევრიდან ღვინის ამოსაღებმა სპილენძის ხელჩაფამ, თან ყელთან შებმული გრძელი ხის ტარი შეანძრია.

–ვაი! – ისე მძლავრად ამოიგმინა ქვევრმა, რომ პირზე დაფარებული სიპი ქვის სარქველი მაღლა შეახტუნა.

–ერთი თქვენცა, თავი ამატკივეთ ამდენი წუწუნით! – წყრომით წამოიძახა ტიკჭორამ, რომელიც ხანგრძლივი ხმარებისაგან საკმაოდ შელანძღულიყო: აქა-იქ ტყავი გასცვეთოდა, ხის მასრა-პოლორჭიკიც მორეყოდა.

„თქვენ იკითხეთ, თორემ მე მუდამ გამოვდგები", – ფიქრობდა თიხის დოქი.

–არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მარანი მარანს აღარა ჰგავს, – არ იშლიდა თავისას საწნახელი ...

–ეჰ, რა ქეიფებს მოვსწრებივარ ამ მარანში! – გააწყვეტინა სიტყვა ტიკჭორამ, – რა დროსტარება იცოდნენ! ჭირნახული აღებული და დაბინავებული, ქვევრები პირთამდე ღვინით სავსე. ჭამე და სვი! გარეთ თოვლი ბარდნის, ბუხარში კი ცეცხლი გუზგუზებს ... გაიშლებოდა სუფრა, მოაყრიდნენ საჭმელს ოხრად, აბა, მობრძანდით, სველ სველო დოქებო და



გოზაურებო, ხელადებო და ჩაფურებო!

–კიდევ ვახსოვარ ვინმეს? – გამოერკვა მარნის კუთხეში მიგდებული ყელმოტეხილი გოზაური.

–ჰეი, მერიქიფევ, ჩამოასხი ღვინო – ასწია გალიცლიცებული ჯამი თამადამ, „თქმა იყოს და გაგონება!" გადაჰკრა სულუქცევად ღვინო, „ასე მტერი დაგეცალოს!" ახლა სხვას გადაულოცა ღვინიანი ბადია. სვამდნენ, გადადიოდნენ ალავერდსა. ჰაი დედასა, რა ჯამების ტრიალი იყო?

–შენ გაიხარე! – აწკარუნდნენ განჯინაში თიხის ჯამები.

–გახურდებოდა სმა, გაძლიერდებოდა ღრეობა ... ახლა ჯიხვები ჩამოივლიდა სუფრაზე ...

–კაი ბიჭობა უნდოდა ჩვენს გამოცლას! – ჩაურთო თიხის ჩაფურამ.

–ისეთ სუფრულს შემოსძახებდნენ, მარანს ზანზარი გაჰქონდა ... რა სჯობია ქეიფსა და ლხენასა! – შესძახა ეშხში შესულმა ტიკჭორამ და ცეკვა-ცეკვით დაუარა.

მარანში ჟრიამული ატყდა. ტიკჭორა ბუქნას უვლიდა, დანარჩენებიც მხიარულად ცქმუტავდნენ ...

–კიდევ მოვა ჩვენი დრო! – ომახიანად შესძახა ტიკჭორამ.

–მოვა, მოვა.

–მოვიშორებთ თავიდან ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს!

–აბა, დაიკარგეთ აქედან!

–წინ წყალი, უკან მეწყერი!

„ნეტავ რამ გადარია, რა თავი აიწყვიტეს ამ ძველძვულებმა?!" – ჰკვირობდა გაოგნებული საწურავი მანქანა.

–ეჰ, ნეტავ ერთი ღვინით ყელი გამასველებინა! – ნატრობდა მარნის კედელს მისვენებული ქანცმილეული ტიკჭორა.

მარანში კი ჟრიამული არ ცხრებოდა. მხოლოდ ახლები იყვნენ გასუსულები.

–მიშველეთ! მომკლა ამ საოხრე თაგვმა! – აყვირდა უეცრად ტიკჭორა.

–დაიჭით! დაიჭით! – გაისმა შეძახილები.

–დამანახვეთ, ერთი სული გავაფრთხობინო! – დაიძახა თავკომბალა თიხის საგლესმა.

დამფრთხალი თაგვი აქეთ ეცა, იქით ეცა, ბოლოს საწნახლის ქვეშ შეაფარა თავი.

–ამ სატიალომ ლამის მუცელი არ გამომღადრა! – ქაქანებდა ნირწამხდარი ტიკჭორა.

–დახე! წრუწუნაც რომ გაგვითამამდა!

–ერთხელაც იქნება მოვიგდებთ ხელში! მაგაზე მაინც ვიყრით ჯავრს!

კიდევ დიდხანს ქოთქოთებდნენ მარნის ბინადარნი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვარდა მყუდროება. მხოლოდ კანტი-კუნტად მოისმოდა თაგვის ფხაკუნი, – საწნახლის ქვეშ შემძვრალი წრუწუნა არხეინად შეექცეოდა სიმინდს.

მარნის სარკმლებში კი უკვე შემოდგომის დილა იჭყიტებოდა.

სიტყვის კონა

სარცხი – გრძელ ტარზე ასხმული, ოთხკუთხედებად დაჭრილი ბლის ქერქი ქვევრის სარეცხად.

ხაპირი – გახვრეტილი ფიცარი, რომელსაც დებენ ქვევრის პირზე, შიგ ატარებენ სარცხის ტარს, დგებიან ნაპირზე და ისე რეცხავენ ქვევრს.

საპალნე – ღვინის საწყაო, უდრის 30 ჩაფს.

მაწაწური – ქვევრის რეცხვის დროს შიგ ჩარჩენილი წყლის ამოსამშრალებელი ჩვარი.

თანგი – დურგლის ჭახრაკიანი ხელსაწყო.

კაჩხა – კაპებიანი საკიდარი.

თახჩა – კედელში დატანებული უკარო სათავსო ჭურჭლისა და სურსათისათვის.

ტიკი – შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩამოსასხმელად.

პოლორჭიკი – ტიკის ნახვრეტში ჩასასმელი ხის პატარა, მრგვალი, ირგვლივ ამოღარული ფირფიტა.

გოზაური – ღვინო-არყის ჩამოსასხმელი მოხრდილი თიხის ჭურჭელი.

ხელადა – ფართოპირიანი და მრგვალ მუცლიანი მომცრო თიხის ჭურჭელი. ტევადობის საწყაო.

ბადია – ქუსლიანი დიდი ჯამი.

ჩაფი – 1. თიხის მოხრდილი, ცალყურა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი ჭურჭელი. 2. ერთი ფუთის (16,3კგ.) ტევადობის ღვინის საწყაო.

დასამახსოვრებელი სახელები

საოცარი ბიჭი, რომელიც ადამიანის დაავადებულ ორგანოებს ხედავს

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ დედამ, რომელიც სამკურნალოდ სოფელ ნინოწმინდაში დადიოდა სუჯოკთერაპევტთან, ათი წლის პაატაც თან წაიყვანა, ბიჭმა კი ექიმის თანდასწრებით განაცხადა: თვალნათლივ ვხედავ, როგორ სდის დედაჩემს კუჭის წყლულიდან ჩირქი. გაოცდნენ დედაც და ექიმიც, ამ უკანასკნელმა კი პაატას სხვა თავისი პაციენტი მიუყვანა და დიაგნოზის დასმა სთხოვა, ხოლო როცა ბიჭმა თვალის დაუხამხამებლად გამოაცხადა: ამ კაცს ტანში საფანტი აქვსო, პატივცემულ სუჯოკთერაპევტს ენა ჩაუვარდა. პაატას შეფიქრიანებულმა მართლმორწმუნე მშობლებმა ეკლესიას მიმართეს, სადაც მათ ურჩიეს ეზიარებინათ შვილი. ზიარების შემდეგ ბიჭს უჩვეულო უნარი კიდევ უფრო გაუძლიერდა.

ამის შემდეგ გაჩნდა აზრი, პროფესიულ დონეზე შეემოწმებინათ პაატას უჩვეულო უნარი და მას ასეთი გამოცდა მოუწყვეს – ავადმყოფს, პაატას დაუსწრებლად ჯერ ექოსკოპიით ამოწმებდნენ, მერე კი თავის სიტყვას პატარა დიაგნოსტიკოსი ამბობდა. ასე დაუდგინა პაატამ ერთ ავადმყოფს ცალი თირკმლის განუვითარებლობა, მეორეს – ყურის პოლიპები და ა.შ. სულ მალე ამის შემდეგ პაატა ქვლივიძის ფენომენით სერიოზულად დაინტერესდნენ. მოგვიანებით საოცარი საგარეჯოელი ბიჭი ყოფილ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან, ბ-ნ ავთანდილ ჯორბენაძესთან მიიყვანეს. პაატას ნახევრად ხუმრობით სთხოვეს მინისტრის კაბინეტში მყოფთათვის დაესვა დიაგნოზი და მანაც ისე ზუსტად დაუხატა თითოეულ მათგანს თავ-თავისი სატკივარი, რომ ყველა გაოგნებული დატოვა. პაატას უჩვეულო უნარით დაინტერესებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა რამაზ შენგელიამ და რამდენიმე მისმა კოლეგამ პაატას შესაძლებლობები სამედიცინო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკის კათედრაზე გამოიკვლიეს. სპეციალისტები ამა თუ იმ ავადმყოფს ექოსკოპიის და ენდოსკოპიის აპარატით, რენტგენით იკვლევდნენ, პარალელურად კი ამავე ავადმყოფს პაატა უსვამდა დიაგნოზს. ჩატარებული კვლევის შედეგად ბატონი რამაზი და მისი კოლეგები ისეთ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბიჭი ხედავს ადამიანის შინაგანი ორგანოების სისტემების მდგომარეობას ნორმალურ პირობებშიც და პათოლოგიის პირობებშიც, ნორმასა

და პათოლოგიას კი ფერებით არჩევს. პაატა ქვლივიძის ამბავი მოსკოვში მოღვაწე აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ყურსაც მისწვდა და მის მიერ ჩატარებული შემოწმება-გამოკვლევით დადგინდა, რომ თუ, როგორც წესი, ჩვეულებრივი ადამიანი გონებრივი შესაძლებლობების მხოლოდ 5-8 პროცენტს იყენებს, ამ ბავშვის გონებას თითქმის 70 პროცენტით მეტი ძალუძს.

როგორც გაირკვა, ოჯახში პაატას ადრეულ ასაკშიც ამჩნევდნენ უცნაურობებს, მაგრამ ამას მისი ხასიათით და წლებით ხსნიდნენ და მაინცდამაინც არც ეკვირვებდნენ. თურმე როცა ისეთ რამეში ადანაშაულებდნენ, რაც არ ჩაედინა, პატარა პაატა ტირილს იწყებდა, მე ღმერთის წინაშე მართალი ვარო. მაშინ ის ამ სიტყვებს გაუცნობიერებლად წარმოთქვამდა, დღეს კი თვითონ პაატაც, მისი მშობლებიც და სასულიერო პირნიც მიხვედრილები არიან, რომ ღმერთმა ბიჭს განსაკუთრებული უნარი უბოძა. ეს უნარ-ნიჭი კი იმაში გამოიხატება, რომ გარდა იმისა, რომ დიაგნოზს სვამს, პაატას ავადმყოფისათვის წამლის შერჩევა და მკურნალობის კურსის დანიშვნაც შეუძლია. როგორც თვითონ ამბობს, როცა ადამიანს დაავადებას დაუდგენს, მაშინვე იწყებს ფიქრს, როგორ დაეხმაროს, რით უმკურნალოს და გონებაში რაღაცნაირად თავისით მოსდის აზრი, რა წამალი უნდა შეარჩიოს და როგორ უნდა დაამზადოს ის. წამლების დასამზადებლად ძირითადად ბალახებს ხმარობს, მაგრამ რადგან ზოგჯერ გონება ისეთ წამალს კარნახობს, რომლის დამზადებისთვის საჭირო მასალა – ბალახი იქნება ეს, გარეული კურდღლის ქონი, ირმის რქა, მომწვანო ფერის კიბორჩხალა თუ სხვა – ძნელი მოსაპოვებელია, მისი დამზადება ცოტა არ იყოს უჭირს ხოლმე. არადა, უკვე რამდენ ავადმყოფს მიანიჭა შვება პაატასეულმა წამლებმა, რამდენ თითქოსდა განწირულ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. მაგრამ ამასთან პაატა ყოველთვის ფრთხილობს და როცა დიაგნოზს სვამს, აუცილებლად ამოწმებს და ავადმყოფს ექიმთანაც აგზავნის. ყოველივე ამას ღვთის მადლცხებული ყმაწვილი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, უსასყიდლოდ აკეთებს.

პაატა ქვლივიძე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმაც მიიღო. ილია II გაესაუბრა ბიჭს, დალოცა იგი და ურჩია, უწინარეს ყოვლისა, კარგი განათლება უნდა მიიღოო. უჩვეულო ნიჭის სწორი მიმართულებით და სრულად გამოსაყენებლად პაატას მართლაც აუცილებლად სჭირდება სამედიცინო ცოდნაც, ზოგადი და სპეციალური განათლებაც. მას ეს კარგად ესმის და ამიტომაც ბეჯითობს, ბევრს კითხულობს, სკოლაშიც კარგად სწავლობს და იმასაც ახლავე აცნობიერებს, რომ ღმერთმა ამ უჩვეულო უნარით იმიტომ დაავჯილდოვა, რომ ადამიანებს დაეხმაროს, სიკეთე აკეთოს.

ოთარ

ოთარ კახიძე თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მე-ექვსე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. სასკოლო საგნებიდან ოთარს ჰუმანიტარულები უფრო უყვარს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენი საგნები არ აინტერესებს.

მისი ბევრი თანამედროვე თანატოლისგან განსხვავებით, ოთარს ძალიან უყვარს წიგნების კითხვა, წაკითხული აქვს მარკ ტვენის, ჯონათან სვიფტის, დანიელ დეფოს, ჰ.ბიჩერ სტოუს, ჟიულ ვერნის და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები. ვიდრე კითხვას ისწავლიდა, დედ-მამა უკითხავდა, 6 წლისამ კი თვითონვე წაიკითხა იაკობ გოგებაშვილის „დედა ისტორია", „საბავშვო ბიბლია", „ქართლის ცხოვრება". ოთარს გამორჩეულად უყვარს ვაჟას შემოქმედება და ტიციან ტაბიძის პოეზია. რამდენიმე წელია ოთარი მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში დადის, იგი სასახლეში არსებულ ბავშვთა ურთიერთობის კაბინეტშიც მეცადინეობს, ამ კაბინეტის საკრებულოს წევრიცაა. ნიჭიერი ყმაწვილი მრავალი კონკურსის მონაწილე და დიპლომანტიცაა. ყველაფერთან ერთად ოთარი ღრმად მორწმუნე გახლავთ, ჰყავს მოძღვარი, ხოლო როცა ზაფხულში ბალდათის რაიონში, მშობლიურ სოფელ ოგჩაში ჩადის ხოლმე, იქაურ მონასტერში სტიხაროსნობას სწევს.

პოეზიის გიგანტები

წუხელ მესიზმრა ტკბილი სიზმარი
და გაღვიძება აღარ მინდოდა,
ტატო მერანით მარდად მიჰქროდა,
დიდი ილია ლექსზე ფიქრობდა,
საწერეთლოში უტკბილეს ჩონგურს
კვლავ აჟღერებდა ჩვენი აკაკი,
ბუმბერაზ ვაჟას თავის შვლის ნუკრი
ისევ იქ ჰყავდა, თავის კალთაში.
წუხელ მესიზმრა ტკბილი სიზმარი
და მაშინ ვნახე ეს საოცრება,
ტატო მერანზე იჯდა, ფიქრობდა,
გალაკტიონი მერის ეტრფოდა.

2002 წელი.

საქართველოს არწივს

ამ ბუმბერაზის დაწერილ ლექსებს
გრიალი გააქვთ ერჟოლით ჩემს ტანში,
არ შემიძლია ისე გავჩერდე,
რომ არ დავჭექო მქუხარე ტაში
და ამ მქუხარე ტაშითაც მაინც
ვერ გამოვხატავ ჩემს აღტაცებას,
მე მასში ვხედავ პატრიოტობას,
ხალხის სიყვარულს და თავდადებას.
ქართველ გოლიათს ძალიან სწადდა
იმერ-ამერთა გამთლიანება,
გაჭირვებისგან ქვეყნის გაწმენდა,
ქართველთა დროშის აფრიალება,
მაგრამ ბოლომდე ვერ დაასრულა,
გამოსავალიც ვეღარ იპოვა,
თავის საქმენი ფშაველმა ვაჟმა
დასასრულებლად ჩვენ დაგვიტოვა.

2000 წელი.





„მაგარი მანქანები", კახა ჯანაშვილი, 6 წლის

ზენზე ფიქრით რომ ათენებს

კიდევ გევრს დააფრთიანებს

ოჯახის უფროსი ვალდმერ რატიანი დამსახურებული პედაგოგი გახლდათ. სხვადასხვა დროს აბაშის რაიონის სუჯუნის, ზენათის, ეწერის და სხვა სოფლების სკოლების დირექტორად მუშაობდა და ძალიან უნდოდა, რომ მისი სამი ქალიშვილიდან ერთ-ერთს მაინც გაეგრძელებინა მამის გზა. იზოლდა ექიმობაზე ოცნებობდა, მაგრამ მშობელს ხათრი ვედარ გაუტეხა და სუჯუნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე ჩაბარა გამოცდები. შეიძლება სტუდენტობის წლებში კიდევ გაუელვებდა ხოლმე გულში სინანული, ექიმობა რომ გადაიფიქრა, მაგრამ პირველად რომ შევდა კლასში და მისკენ მოლოდინით მომზირალ პატარებს გადაავლო თვალი, პირველად რომ მიმართეს გოგო-ბიჭებმა „მასწავლებელო", უმალ ირწმუნა რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

40 წელზე მეტია ასწავლის იზოლდა რატიანი თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში და ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ უნანია, რომ მამის ნებას დაჰყვა და მისი პროფესია აირჩია. დღესაც ახსოვს, როგორი კრძალვით შეაღო პირველად სამასწავლებლოს კარი. სამასწავლებლოში რომ შევდიოდი, დაჯდომას ვერ ვბედავდი, ისეთი კორიფეები მუშაობდნენ მაშინ 23-ე სკოლაში, – ღიმილით იგონებს ქალბატონი იზოლდა თავისი მასწავლებლობის პირველ წლებს და დიდი პატივისცემით მოიხსენიებს სკოლის მაშინდელ დირექტორს გენადი თაბაგარს, დიდებულ მასწავლებლებს მარიამ ბალაშნიავაძეს, თინათინ კაჭარავას, ნიკო ჯაფარიძეს, ზინაიდა ციციშვილს, დუშა სანკიძეს, აფროდიტე გეგიას, გოგუცა ნიკოლაიშვილს. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ისწავლა ახალგაზრდა მასწავლებელმა უფროსი კოლეგებისგან და რაც მთავარია, მათ მაგალითზე გაისიგრძეგანა მთელი სისრულით ის დიდი პასუხისმგებლობა, აღმზრდელს, მასწავლებელს რომ აკისრია ბავშვის, მისი მშობლების, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე. უკვე სამუდამოდ შესისხლხორცებული პასუხისმგებლობის ეს გრძნობა, არჩეული საქმის ერთგულება და სიყვარული ეხმარებოდა და ეხმარება თითოეული მოსწავლის გონებამდე, გულამდე მისასვლელი გზის მოძებნაში, ბავშვების სიყვარულის და პატივისცემის მოპოვებაში. იზოლდა რატიანს არასდროს ავიწყდება, რომ ის ამ პატარებისთვის პირველი მასწავლებელია და ასეთად დარჩება ყოველთვის, კიდევ ამიტომაც მოეთხოვება მას სხვებზე მეტი. თვითონ მას არასდროს ავიწყდება თავისი პირველი მასწავლებელი ვარა მიმინოშვილი და მისი ხელით დაფაზე დაწერილი ულამაზესი ქართული ასოები. ასეთი კალიგრაფია, ასეთი ლამაზი ხელი აღარასდროს შემხვედრიაო – ამბობს ქალბატონი იზოლდა.

პასუხისმგებლობის გრძნობას კიდევ ერთი ადამიანი უმძაფრებდა და უმახვილებდა ახალგაზრდა მასწავლებელს – საკუთარი დედა, თინათინ ესაკია. ერთ გაკვეთილს არ აცდენინებდა, ერთხელ არ დაგვიანებინებდა, რა უფლება გაქვსო, ეუბნებოდა და იზოლდა რატიანს არასდროს უღალატია ამ ტრადიციისათვის, მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გაუცდენია გაკვეთილი, დეკრეტულის გარდა, შვებულებაც არასდროს აუღია. ქალბატონი იზოლდა, რომელიც უკვე ორი სანაქებო შვილის დედა და ორი ასეთივე შვილიშვილის ბებია გახლავთ, სევდანარევი ღიმილით იხსენებს საკუთარ დედას: „დღესაც თუკი რამეს კარგს ვაკეთებ, სულ მგონია, რომ დედას ვაბარებ ანგარიშს. მას ხომ ასე ძალიან უნდოდა, რომ კარგი პედაგოგი ვყოფილიყავი ..."

იზოლდა რატიანი ნამდვილად პირნათელია თავისი მშობლების წინაშეც და მის მიერ აღზრდილი თაობების წინაშეც. იგი ჭეშმარიტი მასწავლებლის განსახიერებაა და ამაზე მრავალრიცხოვანი ჯილდოების თუ წოდებების გარდა, რომლებითაც მისი ღვაწლი დააფასეს, მის მიერ დაფრთიანებული დღეს უკვე სახელოვანი ადამიანებიც მოწმობენ, რომლებსაც მთელი სიცოცხლე უნათებს გზასავალს პირველი მასწავლებლის მიერ საგზლად გატანებული ცოდნა, სიკეთე და სიყვარული.

თბილი გული და ფაქიზი სული

–მასწავლებელს ძალზე თბილი გული და ფაქიზი სული უნდა ჰქონდეს. უსაზღვროდ მიყვარს ბავშვები, ასევე უსაზღვროდ მიყვარს ჩემი პროფესია და საგანი, რომელსაც ვასწავლი. ყველანაირად ვცდილობ შევაყვარო ბავშვებს ბიოლოგია-გეოგრაფია, დავაინტერესო ისინი. მომთხოვნი კი ვარ, მაგრამ არც სამართლიანობა მღალატობს, მოსწავლეებს არ ვარჩევ და დიდი მოთმინების უნარიც მაქვს. ყოველივე ეს ძალიან მეხმარება მუშაობაში – ეს სიტყვები თბილისის „ნუნუ ავაგუმაშვილის საშუალო სკოლის" მასწავლებელს ქალბატონ ეთერ ზაქარიაშვილს ეკუთვნის, მაგრამ იგივე სიტყვებით დაგიხასიათებენ ეთერ მასწავლებელს მისი მოსწავლეებიც, კოლეგებიც და სკოლის დირექტორი ქ-ნი ნუნუ ავაგუმაშვილიც. საოცარია, 44 წელია ასწავლის ეთერ ზაქარიაშვილი სკოლაში (მან 1952 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი) და არც დაღლა შესტყობია როდისმე, არც ბავშვების სიყვარული განელებია და არც ენერგია გამოლევია. დღესაც ღიმილით განათებელს სახით, სიყვარულითა და სიკეთით გამთბარი გულით შედის ყოველ გაკვეთილზე, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიის კი არა, არამედ ადამიანობის, ზნეობრიობის, მოქალაქეობის, მამულიშვილობის გაკვეთილიცაა ხოლმე. თავად ქ-ნი ეთერი მთელი თავისი ცხოვრებით და საქმიანობით ყოველთვის იყო ზნეკეთილობის, მოქალაქეობრივი პატიოსნების, შეგნებულობის მაგალითი. როდესაც ჩერნობილის ტრაგედია დატრიალდა, მან უყოყმანოდ გადარიცხა გარკვეული თანხა დაზარალებულთა ფონდში, უფრო ადრე კი თავისი ხელფასიდან მშვიდობის ფონდსაც შეაწია ფული, ციმბირში, ამურისპირეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე მომუშავე ქართველ სპეციალისტებს 40 კილოგრამიანი ამანათი გაუგზავნა, კოჯრის უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელები კი საახალწლო ამანათით გაახარა.

უხვად გაღებული სითბოს, სიკეთის და ამაგის სანაცვლოდ ეთერ ზაქარიაშვილი საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმკის, მისი პროფესიული მოღვაწეობა კი სხვადასხვა ჯილდოებით ფასდება. ღვაწლმოსილ პედაგოგს მიღებული აქვს გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დიპლომები, როგორც რაიონის წლის საუკეთესო მასწავლებელი გლდანის რაიონის განათლების განყოფილებამ და განათლების პროფკავშირმა სიგელით დააჯილდოვეს, 1982 წელს ე. ზაქარიაშვილს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება, მომდევნო წელს კი იგი წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარეს. გარდა ამისა, ეთერ მასწავლებელი დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით და „ღირსების ორდენით", მას მინიჭებული აქვს მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება, მაგრამ რომ ჰკითხოთ, ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის მისი აღზრდილების წინსვლა-გამარჯვებები, მათი სამშობლოს სამსახურში ჩადგომაა.

სამი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია ყველა თავის ნამოწაფარსაც მათ მიათვლის და ისევე ხარობს თითოეული მათგანის ბედნიერებითა და წარმატებებით, როგორც საკუთარი შთამომავლობის ბედნიერებითა და წარმატებებით.

მარინა მირცხულავა.

ფსიქი ოლიმპიადისთვის

შენ და მშობლები



1. მიგაჩნია თუ არა, რომ მშობლებთან კარგი ურთიერთობა გაქვს?
2. მშობლებს გულახდილად ელაპარაკები? ეკითხები თუ არა მათ რჩევას პირად საკითხებში?
3. მშობლების სამუშაოთი თუ ინტერესდები ხოლმე?
4. იცნობენ თუ არა შენი მშობლები შენს მეგობრებს?
5. დადიან თუ არა შენი მეგობრები თქვენთან ოჯახში?
6. მონაწილეობ თუ არა საოჯახო საქმეებში?
7. სახლში მოწყენილი ხარ და თავისუფალ დროს სხვაგან ატარებ?
8. შენ და შენს მშობლებს საერთო გატაცებები და საქმე თუ გაქვთ?
9. მონაწილეობ თუ არა საოჯახო დღესასწაულების მომზადებაში?
10. გირჩევნია თუ არა, რომ მშობლებმა თქვენთან ერთად მიიღონ მონაწილეობა ბავშვების ზეიმში?
11. თუ უზიარებ მშობლებს აზრს წაკითხული წიგნის შესახებ?
12. საუბრობ ხოლმე მშობლებთან სატელევიზიო გადაცემებსა და ფილმებზე?
13. მშობლებთან ერთად თუ დადიხარ მუზეუმებში, გამოფენებსა და კონცერტებზე?
14. დადიხარ თუ არა მშობლებთან ერთად ტურისტულ ლაშქრობებში?
15. უქმეებს მშობლებთან ერთად ატარებ?

დადებითი პასუხები 2-2 ქულით შეაფასე, პასუხები „ნაწილობრივ" ან „ზოგჯერ" – თითო ქულით, ხოლო თუ პასუხი უარყოფითია, 0 ჩაიწერე. ახლა კი დაითვალე.

20 ქულაზე მეტი: შეიძლება შენი ურთიერთობა უფროსებთან დადებითად ჩაითვალოს.

10-20 ქულა: ეს ურთიერთობა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არამრავალმხრივია.

10 ქულაზე ნაკლები: მშობლებთან კონტაქტები არასაკმარისია, მათთან ურთიერთობის გაუმჯობესება აუცილებელია.

მსოფლიო კიდით კიდემდე

ა.შ.შ.

რამდენს უნდა იწონიდეს მოსწავლის ზურგჩანთა?

სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისიის მონაცემებით, ყოველდღიურად მხრებში ძლიერი ტკივილების, თითების დაბუჟების და სხვა მსგავსი ჩივილებით ათასობით მოზარდი ხვდება საავადმყოფოებში. ცოდნის „ტვირთის" შესამსუბუქებლად კალიფორნიაში გადაწყვიტეს საკანონმდებლო წესით დაადგინონ მოსწავლის სახელმძღვანელოებიანი ზურგჩანთის წონის ზღვარი. ამჟამად კანონპროექტს შტატის საკანონმდებლო კრების ზედა პალატაში განიხილავენ.

მერმანია

ან კომპიუტერი, ან მეგობრები

გერმანელი სოციოლოგების მიერ ჩატარებული მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებით გამოირკვა, რომ ამ ქვეყნის ბავშვების დიდი უმრავლესობა მეგობარ-ამხანაგებთან ჰაერზე თამაშსა და გართობას შინ, კომპიუტერთან ჯდომას ამჯობინებს. გერმანიის მოზარდი თაობის ორი მესამედი ყოველდღე ორი საათით მაინც „ეთიშება" ცხოვრებას და მონიტორზე ან „ცისფერ ეკრანზე" მიშტერებული ატარებს დროს. ამის შედეგად კი გერმანელი ბავშვების ნახევარს ძალიან უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა და მეგობრების გაჩენა.

რუსეთი

ყველაზე პატარა საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში

13 წლის სიმფეროპოლელი მოსწავლე სერგეი კარიაგინი მსოფლიოში ყველაზე პატარა საერთაშორისო დიდოსტატია ჭადრაკში. სერგეი 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი და 24 წლამდე სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახლავთ. ნორჩ მოჭადრაკეს, რომლის მთავარი მიზანი მსოფლიო ჩემპიონობაა, ყველაზე ძალიან წიგნების კითხვა უყვარს და რაკი ეს იციან, მშობლები და მეგობარ-ნათესავებიც ყოველთვის წიგნებს ჩუქნიან.

ლიტვა

მოწევა მოდაში არ არის

ლიტვის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და ძალისხმევით ვილნიუსის სამ საშუალო სკოლაში ხორციელდება პროექტი სახელწოდებით „მოწევა მოდაში არ არის". აქცია 12-დან 16 წლამდე ასაკის 900-ზე მეტ მოსწავლეს მოიცავს. მედიოსებმა და პედაგოგებმა მწეველებთან ხელშეკრულება დადეს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა ივალდებულეს არა მარტო თავი შეიკავონ მოწევისგან, არამედ თანაკლასელებიც დაიყოლიონ და არ მოაწევინონ. გარდა ამისა, მოსწავლეებმა პირობა დადეს, რომ აღარც ალკოჰოლურ სასმელებს გაეკარებიან და აღარც ნარკოტიკებს, ამასთან არც უმცროსებს აწყენინებენ.

გამოსწორებულ მოზარდთა წასახალისებლად ვილნიუსის მუნიციპალიტეტმა ივალდებულა მოაწყოს მათთვის კინოფილმების უფასო ჩვენება, ორ კვირაში ერთხელ კაფეში უფასოდ გაუმასპინძლდეს მათ ტკბილეულით, გარდა ამისა, მათ ნებას დართავენ შეღავათიან ფასებში იარონ სპორტკლუბებში.

მექსიკა

პროვოკაცია პატიოსანთა გამოსავლენად

მექსიკელმა ჟურნალისტებმა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებს მაპროვოცირებელი გამოცდა მოუწყვეს. მათ დაწყებით და საშუალო სკოლებში შეაგდეს 219 საფულე, თითოეულში 120 პესო (ა.შ.შ-ს 11დოლარამდე), სავიზიტო ბარათი და ტელეფონის ბარათი იდო. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რამდენი ბავშვი დაუბრუნებდა ნაპოვნ საფულეს პატრონს ან გადასცემდა უფროსებს. გაზეთ „მანიანაში" გამოქვეყნებული შედეგებით გაირკვა, რომ მხოლოდ 70-მა ბავშვმა დააბრუნა საფულე ანუ ყოველი სამიდან მარტო ერთი მოსწავლე მოიქცა პატიოსნად. ექსპერიმენტმა, რომელიც ქვეყნის 12 ქალაქში ჩატარდა, გამოავლინა, რომ ყველაზე კეთილსინდისიერები ქალაქ მერიდის მოსწავლეები ყოფილან: მათ მიგდებული საფულეების ნახევარი დააბრუნეს.

ცისფერთვალა ლამაზმანი

ტაის ანუ სიამური კატა კატების ერთ-ერთი უძველესი ჯიშია მსოფლიოში. (ტაი-ხალხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) „თეთრი ფერის, შავყურებიანი ასეთივე თათებიანი და კუდიანი კატების პირველი აღწერილობა გვხვდება ძველი სიამის დედაქალაქ აიუტიაში აღმოჩენილ XIV-XVI საუკუნეების მანუსკრიპტებში გვხვდება. ძველად სიამში ეს კატები წმინდა ცხოველებად მიაჩნდათ და თვლიდნენ, რომ ისინი ავ სულებს აფრთხობდნენ. ამ ჯიშის კატები სამეფო ოჯახსა და რამდენიმე ბუდისტურ ტაძარს ჰყავდა. ქვეყნის მეფემ ისინი განსაკუთრებული დამსახურებისთვის აჩუქა ინგლისის კონსულს. ერთი წლის შემდეგ ლონდონში, ბროლის სასახლეში გამართულ კატების გამოფენაზე ამ წყვილმა თავისი ნაშიერებიანად ნამდვილი ფურორი მოახდინა. მაშინ მათ ასე უწოდეს – „სამეფო კატები სიამიდან", მაშინვე დაიწერა ამ ჯიშის პირველი სტანდარტი. გარეგნულად ეს კატები ჩაფსკვნილები, კომპაქტურები თუმცა კი მოხდენილები იყვნენ, ჰქონდათ მრგვალი (გამობერილლოყებიანი) თავი, მოკლე ცხვირი პროფილის ხაზზე მცირე კეხით და სილ-პოინტის კლასიკური შეფერილობა (კრემისფერი ზურგი და მუქი ყავისფერი ცხვირ-პირი, ყურები, თათები და კუდი).



დაახლოებით 1950-იანი წლების შუა ხანებში სიამურ კატას ცვლილებები დაეტყო და ევროპის და ა.შ.შ-ს წამყვანმა ორგანიზაციებმაც ახალი სტანდარტები მიიღეს, რომელთა მიხედვითაც სიამური კატა უნდა იყოს მოხდენილი და გრაციოზული, უნდა ჰქონდეს წვრილი სოლისებრი თავი, სხეულის გრძელი ხაზები, მაღალი ფეხები და დიდი ყურები. სწორედ ამ დროიდან დაიწყო თანამედროვე სიამური კატის გაწვრთნა, ის პირველი, აბორიგენული ტიპი კი ოფიციალურადაც დაივიწყეს, თუმცა ბევრი მენაშენე კვლავაც იმ ძველი, მრგვალთავა კატების ერთგული დარჩა.

საბოლოო ჯამში ჯიში ორად გაიყო. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებული „საკუთრივ სიამური კატები", მეორეს კი – აღიარების გარეშე დარჩენილი „ტრადიციული სიამურები". საბოლოოდ კი 1990 წელს რეგისტრაციას მიაღწიეს, რასაც სტანდარტის დაწერა და „ტრადიციული სიამურის" მენაშენეებმა ამ ჯიშის კატების მსოფლიო ფედერაციაში მათი თანამედროვე სიამური ჯიშისაგან განსასხვავებლად ტრადიციული სიამური კატებისათვის ცალკე სახელის, ტაის კატების მიკუთვნება მოჰყვა.

ვნახოთ, როგორ გამოიყურება ჯიშიანი ტაის კატა. ეს არის საშუალო ზომის, კომპაქტური, ძლიერი და ელეგანტური კატა ლამაზად მომრგვალებული თავით. თვა-

გაგრძელება მე-13 გვ.





ლები ამ კატებს ნუშისებრი მოყვანილობის, ცისფერი (ღია ცისფერიდან მუქი საფირონის ფერამდე) აქვთ. მომრგვალებული ცხვირპირი ხაზს უსვამს თავის მრგვალ მოყვანილობას. ამ ჯიშს თვალების დონეზე ოდნავ მოხრილი ცხვირიც განასხვავებს. ყურები ტაის ჯიშს საშუალო ზომის აქვს, მისი საშუალო ან დიდი ტანი დაკუნთულობით და კარგად განვითარებული გულ-მკერდით გამოირჩევა. სხეულის პროპორციული ფეხები და საშუალო ზომის კუდი ამ ჯიშის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია. მისი მოკლე და ხშირი ბეწვი ხელის შეხებით წაულის ბეწვს ჰგავს.

ტაის კატა ძალიან ლამაზია, მაგრამ ყველაზე მთავარი ამ ჯიშში მაინც ხასიათია. ეს კატა საუკეთესო კომპანიონია, იგი ძალიან არის დამოკიდებული ადამიანზე, მის გუნება-განწყობილებაზე. იგი არასდროს აბეზრებს თავს პატრონს, ყურადღების მისაპყრობად არასდროს არ ჩხავის და კნავის, მაგრამ სადაც უნდა იყვნენ სახლში ადამიანები, იგი ყოველთვის მათ სიახლოვეს არის და თითქოს შეახსენებს მათ: აი, მეც აქ ვარ, მომეფერეთ, მომესიყვარულეთ, მე ყოველთვის თქვენ გვერდით ვარო. ტაის კატა არც სათამაშოა და არც ბინის სამშვენისი, თუ ყურადღება მოაკლდება, შეიძლება ავად გახდეს, მოიწყინოს. ეს კატები სახლს კი არა, ადამიანს ეჩვევიან. მათთვის მთავარია პატრონის გვერდით იყვნენ, ხოლო სად იქნება ეს – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე თუ სამუშაოზე, მისთვის სულ ერთია. ტაის კატა ბრჭყალებს არასდროს აჩენს, თუ ის ბოლომდე გენდობათ, თქვენს ხელებში სიამოვნებისგან გაიტრუნება, მოდუნდება. სწორედ ამ დროს მაგრად უნდა გეჭიროთ ის, თორემ თუ ხელი შეუშვით შეიძლება, ნეტარებისგან მომჩვარულ-მოდუნებული ძირს გადავარდეს, მერე კი გაგებუტოთ, რატომ გადამაგდეო.

ტაის კატას ბევრი „ლაპარაკი" უყვარს, მას 17-მდე ბგერის „წარმოთქმა" შეუძლია. სამსახურიდან თუ სკოლიდან დაბრუნებულ პატრონს იგი საყვედურებით ავსებს, უყვება, როგორი მოწყენილი იყო უიმისოდ, როგორ ენატრებოდა იგი და მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვს საჭმელს. ამ ჯიშის კატებს ძალიან უყვართ საზოგადოება, მათ არ ახასიათებთ აგრესიულობა და შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ ფაუნის ნებისმიერ წარმომადგენელთან ერთად – ჩიტი იქნება ეს თუ ვირთხა, კატა, ძაღლი თუ მაიმუნი. ოღონდ იმ პირობით, რომ არავინ აწყენინებს.

ტაის კატა ადვილი მოსაკლელია, არც საჭმელს არჩევს და სუფთაც არის. არც მის ბეწვს სჭირდება დიდი მოვლა, წელიწადში ორჯერ ბეწვის სეზონური ცვლის დროს სველი რეზინის ჯაგრის-ხელთათმანით დავარცხნა სავსებით საკმარისია.

ტაის კატების კიდევ ერთი გამორჩეული თავისებურება ის არის, რომ ისინი ფერს იცვლიან. კნუტები ქათქათა თეთრი ფერის იბადებიან, 2-3 კვირის შემდეგ ყურები, ცხვირი, თათები და კუდი ოდნავ უმუქდებათ. ნამდვილ შეფერილობას კი ისინი მხოლოდ ერთი წლის ასაკში იძენენ. თუ კატა თბილ ბინაში ცხოვრობს, ქურქი უფრო ბაცი აქვს, ხოლო თუ ცივში – უფრო მუქი. ისე, რომ თუ თქვენს კატას გამოფენაზე გასაყვანად ამზადებთ და გინდათ ესოდენ აღიარებული კონტრასტული შეფერილობა შეუნარჩუნოთ, სულ თბილ კოფთაში უნდა გყავდეთ.

ოდოშხერი

ანსამბლ „გვირილას“ წევრზე ნინო (ბურთიკო) ნიკოლაიშვილზე ჩვენ უკვე ვწერდით („ნაკადულის“ 2002 №8). მას შემდეგ ნიჭიერი გოგონას ცხოვრებაში სიახლეები მოხდა. ჯერ ერთი, ნინუცა გაიზარდა, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ მეორე კლასში გადავიდა, მეორეც – იგი ა.ვერასალაძის სახელობის ხელოვნების ლიცეუმის ფორტეპიანოს კლასში ჩაირიცხა (გამოცდაზე ყველა გააოცა თავისი მუსიკალურობითა და არტისტიზმით), და კიდევ – ანაზდად წერის დაუოკებელი სურვილი იგრძნო (რამდენჯერე ლაქე გაიღვიძა და დედას ფურცელი და კალმისტარი სთხოვა, რალაც უნდა დაწეროო). ჯერჯერობით გაუფაფავი კალმით დაწერილ ნინოს ციცქნა ჩანახატებში მოჩანს მთავარი – მათი ავტორი აზროვნებს, ფიქრობს.

საქართველო

მინდა ყველას უყვარდეს საქართველო და ყველამ დაიცვას იგი. საქართველო ხომ ჩვენი სამშობლოა, ჩვენი დედაა. ჩვენ სამშობლოთი ვცოცხლობთ, ის ჩვენი სიცოცხლეა და ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ სიცოცხლეზე.

სკოლა

სკოლა თავიდანვე მომეწონა, პირველ კლასში რომ შევედი. მაგრამ მეორე კლასში რომ გადავედი, უფრო მომეწონა. მე ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებელს ნათელა სვანიძეს, რადგან მეორე კლასში გადამიყვანა. ძალიან მიხარია, რომ კიდევ დიდხანს უნდა ვისწავლო სკოლაში.

ყოჩალი ფრუფუნა. გიორგი ქარდაპა, 5 წლის

ჩემი გოშია

მე ძალიან ბევრი სათამაშო მაქვს: იხვები, კატები, ბაჭიები, ძაღლები, ტყუპი მაიმუნები, თოჯინები. ყველაზე ძალიან ჩემი პატარა გოშია მიყვარს. იგი ჩემმა ნინო ნათლიამ ჩამომიტანა ამერიკიდან. ჩემი გოშია ლურჯი ფერისაა, შავი ცხვირი აქვს, თვალებიც შავი, ყურები მოლურჯო-მოვარდისფრო და გრძელი აქვს, ტანი გარმონივით ეწელება. სევდიანია, სულ გულში ვიხუტებ და ვეფერები. ვინც ნახულობს, ყველას მოსწონს, უთუოდ თქვენც მოგეწონებათ.

სალომე მელაშვილი,
თბილისის 67-ე საშუალო სკოლის III კლასის
მოსწავლე. მოსწავლე ახალგაზრდობის
სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის წევრი.

შემოდგომა

ძალიან მიყვარს შემოდგომა თბილისში, მთელი ქალაქი მზისფერია. ყვითელი ფერი მზიდან ჯერ ხეებზე გადადის, შემდეგ მიწაზე ჩამოდის და ქალაქის ქუჩებიც ყვითლად იმოსება.

ნეტავ, როგორია შემოდგომით ჩემი მშობლიური სოხუმი? ალბათ, ის უფრო ლამაზია ამ დროს, ალბათ დაღლილ-დაქანცული მზე უკვე ძალაგამოლეულ სხივებს კიდევ ერთხელ შემოატარებს ამ ქალაქის ქუჩებს, მშვიდ ტალღებზე აელვარდება და დასაძინებლად ზღვაში ჩაეშვება.

გურამ ფარფალია,
სკოლა „აისი“, II კლასი.

იცნობდეთ

ნინო ქანთარია

ნინო ძმაზე ორი წლით უფროსია და ინტერესებიც განსხვავებული აქვს. გონიერი და ხალისიანი გოგონა კარგადაც სწავლობს, ფრიადოსანია, და სკოლის ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს (ნინოც გიორგისავით 147-ე სკოლის მოსწავლეა). ძალიან უყვარს უცხო ენები და ადვილადაც ითვისებს მათ. უყვარს ლიტერატურა, კარგი მუსიკა, სიმღერები, ლამაზად ჩაცმა, მაგრამ ყველაფერს ცეკვა ურჩევნია. სულ პატარა იყო, მშობლებმა პირველად რომ მიიყვანეს ცეკვაზე და იმ დღიდან მოყოლებული, მთელი სერიოზულობით, დიდი გატაცებით და ხალისით ეუფლება ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას. ბევრს, ძალიან ბევრს შრომობს ნინო სტუდიაში მეცადინეობებსა თუ რეპეტიციებზე, ხვეწს თითოეულ მოძრაობას, შეუძლია გაუთავებლად იმეოროს ესა თუ ის ილეთი, ვიდრე მასწავლებელს და, რაც მთავარია, თვითონ არ მოეწონება. ამასთან ნორჩი მოცეკვავე ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს და წვდება ყოველი ცეკვის ხასიათს, განწყობილებას, სულს და შეუცდომლად გადმოსცემს მათ. თავდაჭერილი და კდემამოსილია ნინო "ქართულში", კისკასი და ხალისიანია "განდაგანაში", შემართული და ფიცხია "ხევსურულში". ცეკვავს ნინო და არასდროს ავიწყდება, რომ უბრალოდ კი არ ასრულებს ამა თუ იმ ცეკვას, არამედ ცეკვის ენაზე მოუთხრობს მაყურებელს თავისი ხალხის ისტორიის, კულტურის, ხასიათის, ზნე-ჩვეულებების შესახებ. ამიტომაც არასდროს უყურებს ცეკვას როგორც უბრალო გართობას, მისთვის ხელოვნების ამ დარგს სხვა, უფრო სერიოზული დატვირთვაც აქვს.

ერთი წლის მისულიც არ იყო სტუდიაში, რომ ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტში მონაწილეობისთვის კულტურულ ურთიერთობათა ახალგაზრდული ცენტრის დიპლომი დაიმსახურა. პირველ ჯილდოს კიდევ მრავალი მოჰყვა, დიპლომი მიიღო ნინომ ქ. თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და კულტურულ ურთიერთობათა ახალგაზრდული ცენტრის ეგიდით ჩატარებულ "ფოლკლორიადაში" წარმატებული მონაწილეობისათვის. ასევე დიპლომით აღინიშნა მისი მონაწილეობა განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულ მოსწავლე ახალგაზრდობის ხალხური შემოქმედების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში "ხელოვნებაა თავად უკვდავება" და სხვ.

შეიძლება, რომ გაიზრდება, ნინოს სულ სხვა გატაცება, ინტერესი გაუჩნდეს, გამორიცხული არ არის, რომ მან სულ სხვა გზა აირჩიოს ცხოვრებაში, მაგრამ ცეკვა ყოველთვის დარჩება მის დიდ სიყვარულად და სხვა ენებთან ერთად მას ყოველთვის ეცოდინება საერთაშორისო ენა, რომელსაც განუმეორებელი ქართული ხალხური ცეკვა ჰქვია.

შეხვედრები

ანა კალანდაძე სტუმრად სკოლა „სარკმელში"

დღიდან დაარსებისა საერო საშუალო სკოლა „სარკმელში" სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს მუდამ თან ახლავს მრავალფეროვანი შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებები, რომლებიც შესასწავლი მასალის სრულყოფილად ათვისებისათვის, შეძენილი ცოდნის გაღრმავებისა და ზოგადი განათლების გაფართოებისთვის არის გამიზნული. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ის შეხვედრაც, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოეტს, ქალბატონ ანა კალანდაძეს რომ მოუწყვეს სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებმა.

მასპინძლებმა, VI, VII და VIII კლასის მოსწავლეებმა, პედაგოგების ელისო ჯიქიძისა და ნატო ცერცვაძის ხელმძღვანელობით სტუმრებს ანა კალანდაძის პოეზიისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია წარუდგინეს.

პოეტ ქალბატონს მიესალმნენ სკოლის დირექტორი ქალბა-

ტონი მაია გაბაიძე, პოეტი მიხეილ ღანიშაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, ფილოლოგი ტრისტან მახაური და ელიზბარ ელიზბარაშვილი, აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომელი, ფილოლოგი ქალბატონი თინა ჩხეიძე.

ამ შეხვედრაზე საჯაროდ პირველად გაიჟღერა ანა კალანდაძის ლექსზე დაწერილმა სიმღერამ, რომელიც თავად ავტორმა, კომპოზიტორმა და „სარკმლის" მასწავლებელმა ალინა ცხომარიამ და VI კლასის მოსწავლე თამარ გაბაიძემ მოასმენინეს სტუმრებს.

ქალბატონმა ანამ ბავშვებისადმი უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი გაჯერებული სიტყვებით მიმართა მოსწავლეებს, მერე კი ერთ-ერთი საკუთარი ლექსიც წაუკითხა მათ.

ჩვენი სტუმარია გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვანიერას საშუალო სკოლა.

განგების ნებით მშობლიურ მთებსა და კოშკებს განშორებულმა და გარდაბნის რაიონში ჩამოსახლებულმა სვანებმა თავიანთ სოფელს ლამაზი სახელი ლემშვანიერა უწოდეს და სოფელმაც ჩვეული ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება. აბა სოფელი სკოლის გარეშე როგორ იქნებოდა და 1987 წელს ლემშვანიერაში საშუალო სკოლა გაიხსნა. დღეს აქ 510 მოსწავლე (მათგან 90 ფრიადოსანია) და ორმოცამდე მასწავლებელია, სკოლას კი გულნაზი ჭელიძე უძღვება. ქალბატონი გულნაზი პედაგოგიურმა კოლექტივმა 2001 წელს აირჩია დირექტორად, მანამდე კი იგი თითქმის ათი წელი ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. გულნაზი ჭელიძემ უმშვენიერეს სვანურ სოფელ უშგულში დაამთავრა საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება კი ფიზიკა-ასტრონომიის მასწავლებლის სპეციალობით სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ უშგულში დაბრუნდა და იქაურ ბავშვებს ფიზიკას ასწავლიდა. ახალგაზრდა მასწავლებელმა ადვილად გამოძებნა საერთო ენა მოსწავლეებთან, ყველას უყვარდა, ზომიერად მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ გულისხმიერი და საკუთარი საგნის საუცხოო მცოდნე მასწავლებელი, ამიტომაც დასწყდათ გული მოსწავლეებსაც და კოლეგა-პედაგოგებსაც, როცა გულნაზი მამრეს.

სკოლის დირექტორი გულნაზი ჭელიძე

როგორც კი ლემშვანიერას იგრძნო, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, როცა საგნის სწავლაზე და იმ ეზრუნა, რომლებსაც უშუალოდ სწავლა-აღზრდელობით პროსაზრუნავს სკოლაში, მითუმეტეს ფლის სკოლაში რა გამოლეკს... რგულად შეუდგა საქმეს, მზაქტორს, სკოლის ცხოვრების დაგოგებსაც გასაუბრა, უპირველიც მოინიშნა და სულ მალე სკოლაში შედგა ფეხი, უმალ ბლობა დააკისრეს, როცა საანდვეს, ამიერიდან მას მარტო მოსწავლეებზე კი არ უნდა ასწავლიდა, არამედ მთელ საცესზე, მთელ სკოლაზე, ხოლო დღეს და განსაკუთრებით სოგულნაზი ჭელიძე თავიდანვე ენერში ამოუდგა სკოლის დირყველა წვრილმანში ჩაიხედა, ჰელესი გასაკეთებელ-მოსაგვარებდაატყო თავისი ხელი სკოლას. მოსწავლეებიც და პედაგოგებიც პატივისცემით განიმსჭვალნენ მისადმი და როცა სკოლის ახალი დირექტორის არჩევა გახდა საჭირო, წლების მანძილზე სკოლაში მის ნამოღვაწარსაც გადაავლეს თვალი, მისი ადამიანური თუ პროფესიული თვისებებიც გაითვალისწინეს და სწორედ ის, გულნაზი ჭელიძე, აირჩიეს.

ქალბატონმა გულნაზიმ კოლეგების ნდობა-მოლოდინი საესებით გაამართლა. იგი ჩვეული ენერგიით, პასუხისმგებლობით, საქმის ერთგულებით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას და უმრავი დაბრკოლების მიუხედავად რიგი პრობლემების გადაჭრაც შეძლო. დღეს ლემშვანიერას საშუალო სკოლაში შეუფერხებლად მიმდინარეობს სასწავლო-აღზრდელობითი პროცესი. აქ ბავშვებს მამულიშვილებად, ქვეყნის ამღორძინებლებად ზრდიან და თავიდანვე იმ აზრს უნერგავენ, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლის ასაგებად თითო აგური ყველამ უნდა მიიტანოს.

სკოლაში დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტს. ათ წელზე მეტია რაც აქ ძი-უდოს სექცია ჩამოყალიბდა, რომელსაც ვ. ჭელიძე ხელმძღვანელობს. ნორჩი ლემშვანიერელი ძიუდოისტები ღირსეულად აგრძელებენ სახელგანთქმული სვანი მოჭიდავეების ტრადიციებს, რომლებმაც მრავალ საერთაშორისო ასპარეზზე ისახელეს თავი. სკოლაში რაიონული მასშტაბის ჩემპიონებიც ჰყავთ და რესპუბლიკის მასშტაბისაც. ვ. ჭელიძის აღზრდილებმა არსენ მეკოიშვილის სახელობის ტურნირზეც იყოჩაღეს, ხოლო ბექა მარგველანმა და ბეთქილ შუკვანმა თურქეთის ქალაქ ანტალიაში გამართულ ტურნირზე პირველობა არავის დაუთმეს. სკოლის ძიუდოისტებს შორს მიმავალი გეგმები აქვთ და ამჟამად ევროპაში ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ემზადებიან.

ლემშვანიერას სკოლაში მხატვრულ თვითშემოქმედებასაც სათანადო ყურადღებას უთმობენ. აქაურმა მომღერალთა გუნდმა „სალაღობომ“ ახლახან გამართულ სარაიონო დათვალიერებაში ტოლი არავის დაუდო და პირველი ადგილიც მოიპოვა. „სალაღობოს“ წინ უფრო მასშტაბური დათვალიერება-კონკურსები ელის და მისი წევრებიც გულმოდგინედ ემზადებიან უფრო დიდ ასპარეზზე გასასვლელად. მომღერლებს არც მოცეკვავეები ჩამორჩებიან. ნორჩმა ლემშვანიერელმა მოცეკვავეებმა საქართველოს საზღვრებს გარეთაც უჩვენეს საკუთარი ხელოვნება და ყველგან დიდი მოწონება დიმსახურეს.

იზრდებიან გოგო-ბიჭები ლემშვანიერას საშუალო სკოლაში, სწავლობენ, ნათლდებიან, იხვეწებიან, მერე ცხოვრების დიდ გზაზე გავლენ, სხვადასხვა საქმიანობას მოჰკიდებენ ხელს, საგზლად კი აქ შეძენილ ცოდნას, აქ ჩანერგილ სიკეთეს, სიყვარულს გაიყოლებენ და ყოველთვის მზად იქნებიან სამშობლოს სამსახურად.

წარმოგიდგენთ ლემშვანიერელი მოსწავლეთა შემოქმედებას

სალომე ნიშარაძე,
III კლასი

თოვლი

თოვლი მოდის,
ფიფქი ცვივა,
რა ლამაზად თოვს,
გადათეთრდა მთა და ბარი
ბინდი მოჩანს შორს.
ხვალ ეზოში ვიგუნდავებ,
ბებოს თათმანს ვთხოვ,
რა კარგია, თოვლი მოდის,
თოვლი მოდის, თოვს.

ქრისტინა ავალიანი,
III კლასი

პატარა ნინიკო

ჩვენს პატარა ნინიკოს
ძლიერ უყვარს თამაში,
უფრო მეტად რა უყვარს?!
ჭრელი ბურთი, ლამაზი.
თამაშობს და თამაშობს
ეს პატარა ნინიკო,
მე კი იმას ვურჩევდი,
ზოგჯერ წიგნიც იკითხოს!

წარმოგიდგენთ ლემშვანიერელ მოსწავლეთა შემოქმედებას

ფოთოლცვენა

ფოთოლცვენა.... ფოთოლცვენა...
მწუხარება ბავშვების,
ფოთოლცვენა... ფოთოლცვენა...
შემოდგომის ჰანგები.
დილით მზე რომ ამოვიდა,
აციმციმდნენ ყლორტები,
აწრიალდნენ, აჩურჩულდნენ
შემოდგომის ფოთლები,
ხეებს მოწყდნენ, გადაფრინდნენ,
შრიალებენ წნორები,
კიდევ ბევრჯერ გვახსენებდნენ
შემოდგომას ფოთლები.

თემურ ნანსყანი, 12 წლის.

მარინა ქალდანი,
15 წლის

X X X

თითქოს რაღაც საოცრებას ვეძებ,
თითქოს რაღაც ვერ ვიპოვე დღემდე,
თითქოს რაღაც მაკლიაო გულში,
გაილია ამ ძებნაში ეს დღეც.
მენატრება ის წამები მშვიდი,
ჩემს ნატვრას რომ გავანდობდი მერცხლებს,
ახლა მხოლოდ ვდგავარ და შენ გიცდი,
და წვიმაში შენს ნაფეხურს ვეძებ.
რაღაც უცხო ზმანებები მწვავენ,
რაღაც ნაზი სიჩუმე დგას დღემდე,
ვერ მივმხვდარვარ, გულს რა უნდა ჩემგან,
რაღაც უცხოს და უცნაურს ვეძებ.



გოჩა ავალიანი,
VI კლასი

ისიდორე გულბანი, IV კლასი

ნინო გვიჩიანი, VI კლასი

22825

საქართველოს პარლამენტის

„მშრომელი წარჯალს და ნაშრომი ჰგიეს“

ხუროთმოძღვარი ჭიჭაფორისძე

ქვემო ქართლში, თეთრი წყაროს რაიონში შემორჩენილი გუდარეხის ძველი ნამონასტრალის კომპლექსში გამოირჩევა დიდი ერთნავიანი ეკლესია, რომელიც რუსუდან დედოფლის მეფობისას, ანუ XIII საუკუნის მეორე მეოთხედში ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძეს აუგია.

ეკლესიის სამხრეთის კედლის წარწერა გვამცნობს: „...აეშენა წმიდა ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა სალოცველად [illegible] ლიდებლად დედოფალთ დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა“...

როგორც აღვნიშნეთ, გუდარეხის ტაძარი ერთნავიანი შენობაა, იგი მრავალი ჩუქურთმითაა შემკული. როგორც ჩანს, უფრო გვიან ჩრდილო მხრიდან ეკლესიისთვის მიუშენებიათ აფსიდიანი ექვტერი, რომლის კედლებშიც უფრო ადრინდელი შენობის ფრაგმენტებია ჩართული, სამხრეთის შესასვლელის წინ კი გვიანდელი კარიბჭის ნაშთებია.



აღმოსავლეთის ფასადისთვის ხუროთმოძღვარს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გუმბათოვანი ეკლესიების ასაგებად გამოყენებული ტრადიციული სქემისათვის მიუმართავს: დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი შუა სარკმლის თავზე, მასთან გადაბმული სარკმლის საპირე და ჩუქურთმიანებივე რომბები სარკმლის ქვეშ, თითო სამკუთხა ნიშა საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს. სამაგიეროდ, ჭიჭაფორისძეს უარი უთქვამს ფასადების დეკორაციულ თაღებზე და დიდი მნიშვნელობა მიუნიჭებია დიდი გლუვი ზედაპირისთვის.

ეკლესიის წინ, გალავანში ჩართული სამრეკლო უძველესი დათარიღებული სამრეკლოა საქართველოში, რომელიც, წარწერის თანახმად, 1278 წელს ყოფილა აშენებული.

ოდესღაც, მრავალი საუკუნის წინ, თურმე ენგურის ხეობის მკვიდრნი მდინარის ტალღებში ცხვრის მატყლიანი ტყავებით ოქროს მარცვალს აბროვებდნენ. ჩააგდებდნენ მდინარეში ტყავს და ოქროს მარცვლები, რომლებიც წყალს მიჰქონდა, მატყლზე ილექებოდა. მაშინ ცხვრის მატყლიან ტყავს საწმისი ერქვა, ამიტომ ტყავს, რომლითაც ოქროს მოიპოვებდნენ, ოქროს საწმისი დაერქვა.

ოქროს მარცვლებივით ილექებოდა ხალხის ცნობიერებაში ბრძნული აზრები, აფორიზმები თუ ანდაზები, რომელთა ჭეშმარიტებას თავად ცხოვრება ამტკიცებდა. ჟურნალის განყოფილებაში „ოქროს საწმისი“ სწორედ ამ „ოქროს მარცვლებს“ გთავაზობთ.

მხდალსაც კი გაამამაცებს სიტყვა „სამშობლო“.

ლუკიანე

ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, ძვირფასია შვილები, ახლობლები, ნათესავები; მაგრამ ყოველგვარი წარმოდგენა სიყვარულზე თავს იყრის ერთ სიტყვაში – „სამშობლო“.

ციცერონი

სამშობლოსთვის სიკვდილი ტკბილია და დიდების მომნიჭებელი.

ჰორაციუსი

ყველაზე დიდი საგმირო საქმეები სამშობლოს სიყვარულით ჩაუდენიათ.

ჟ.ჟ.რუსო

ის დღე, როცა სამშობლოს ვერა ვარგე რა, ცხოვრებიდან ამოვაგდე, ვით დამპალი რამ.

მ. სალომონი

რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.

ილია

სამშობლოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მშობლებს.

პლატონი

ანა სამსონიას ლირიკული ლექსები და ჩანახატებიც აქვს, მაგრამ ბოლო დროს იგი უფრო ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურ, საჭირბოროტო თემებსა და საკითხებზე წერს. თავის სათქმელს ზნეობრივ ღირებულებებზე დაფიქრებული ნიჭიერი გოგონა ნარკვევებშიც ამბობს, პიესებშიც და პროზაულ თხზულებებშიც. გაეროს მიერ ნარკომანიასთან ბრძოლის ჩარჩოებში გამოცხადებულ კონკურსში ანამ წარადგინა ოთხი ეპიზოდისგან შემდგარი თხზულება „გზა სინანულისკენ" და წარჩინების დიპლომი დაიმსახურა. საუკეთესოთა შორის დაასახელეს ანა სამსონიას ნაშრომი წელს დახელოვნების ინსტიტუტის მიერ ნარკოტიკებთან, თამბაქოსთან და ალკოჰოლთან ბრძოლის თემაზე ჩატარებულ კონკურსშიც და ამავე ინსტიტუტის მიერ კიდევ ერთ, ეკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ კონკურსშიც, სწორედ ამ კონკურსზე წარადგინა ანამ „სიზმარი, რომელიც შეიძლება ახდეს", რომელსაც დღეს გთავაზობთ.

ანა ძალიან დაკავებულია, მაგრამ ყველაფერს ასწრებს, სკოლის გარდა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაშიც დადის, საერთაშორისო ურთიერთობათა წრეზეც, გეოგრაფიის წრეზეც, საფუძვლიანად სწავლობს გერმანულ ენას, კომპიუტერზეც მუშაობს. საკუთარი ბუნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე (ანა ძალიან კომუნიკაბელურია, ადვილად ამყარებს ურთიერთობას ადამიანებთან, მას ძალიან აინტერესებს მსოფლიოს ქვეყნების ისტორია, კულტურა, დღევანდელი დღე), გადაწყვეტილი აქვს დიპლომატი გახდეს და საამისო საფუძველს დღესვე იმზადებს.

სიზმარი, რომელიც შეიძლება ახდეს

სასამართლო დარბაზი გადაჭედილი იყო, განიხილებოდა მეტად უცნაური საქმე, რომლის მსგავსიც დიდი ხნის გამოცდილ მოსამართლესაც კი არასოდეს განუხილავს. მომჩივანი გახლდათ არც მეტი, არც ნაკლები, ბუნება, რომელმაც ადამიანის წინააღმდეგ საქმე აღძრა. ბუნებას თან ახლდნენ მისი ოჯახის წევრები: ფლორა, ფაუნა, ჰიდრო, ნიადაგი და ატმოსფერო. ადამიანსაც, თავის მხრდან, თან ჰყავდა მოწმეები. მართალია, მათი სახელები არავინ იცოდა, მაგრამ გარეგნობით თუ ვიმსჯელებდით, ადვილად დავასკვნიდით: ყველაზე ძვირფასად შემოსილი, რომელსაც თავი ძალზე მშვიდად ეჭირა და რომელიც ხანდახან ირონიული მზერით გადახედავდა ხოლმე დარბაზს, ნამდვილად დიდი ბიზნესმენი იყო. სუფთად, მაგრამ უბრალოდ ჩაცმული ბერიკაცი, დამნაშავესავით რომ იცქირებოდა და დარბაზისთვის თვალის გასწორებისაც კი ეშინოდა, უთუოდ გლეხი იყო. მის გვერდით მჯდომი კაცი მეცნიერს ჰგავდა. ის ღრმად იყო ჩაფლული თავის ფიქრებში და ვერც კი ამჩნევდა, რა დაძაბული მოლოდინი სუფევდა დარბაზში. იქვე შავებში ჩაცმული წვრილშვილის დედა იჯდა. მას ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი ეხვია გარს და გამუდმებით რაღაცას სთხოვდა.

პროცესი დაიწყო. ცოტა ხანში მოსარჩელეც გამოიძახეს. ბუნება, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული გახლდათ.

–სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს საუბარი. ყველამ კარგად ვიცით, რომ მე ღმერთმა შემქმნა იმისათვის, რათა ადამიანს მისი არსებობისათვის აუცილებელ გარემოში ეცხოვრა. მე დამეკისრა უდიდესი მისია, შემექმნა ყველა პირობა ადამიანის ბედნიერებისათვის, რასაც მე უხსოვარი დროიდან ჩინებულად ვართმევდი თავს. ვიდრე ადამიანი პატივს მცემდა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მან ჩემი მტრობა დაიწყო. ჯერ ვიფიქრე, ახალგაზრდაა, გაიზრდება, უფრო დაჭკვიანდებამეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, დაჭკვიანდა კი-არა, უფრო მეტი შეურაცხყოფა მომაყენა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ გამომიცხადა: შენ ვინა ხარ?! ჩემი ჭკუით და გონებით მე მოგერევიო! ვითმენდი, ვიდრე მოთმენა შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ადამიანმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო, რომ ღმერთმა ბუნება ისეთ კანონებს დაუმორჩილა, რომელთა მიხედვითაც ბოროტება უკეკლოდ არ ქრება და მასვე უბრუნდება, ვინც ჩაიდენს. მე ძალიან მივარს და ძალიან მეცოდება ადამიანი, რადგან ვიცი, რა საშინელება შეიძლება დატრიალდეს. ამიტომ ყველა ღონეს ვხმარობ, რათა გამოვაფხიზლო უფსკრულის პირას მიმდგარი ადამიანი, რომ არ გადაჩეხოს და საბოლოოდ არ დაილუპოს.

მოსამართლემ მშვიდად მოისმინა ბრალმდებლის სიტყვა და ადამიანს გადახედა. დარბაზი გაირინდა, ყველა საპასუხო სიტყვას ელოდა. ადამიანი წამოდგა და დაიწყო:

–ადრე, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ ტომებად ცხოვრობდნენ და საკვებს ნადირობით მოიპოვებდნენ, მათ ეს საკვები ჰყოფნიდათ. შემდეგ ისინი გამრავლდნენ, ააშენეს ქალაქები, შექმნეს სახელმწიფოები, ააგეს ქარხნები, გამოიგონეს მანქანები. საჭირო შეიქმნა კაშხალების აშენება, მეცნიერებმა გამოიგონეს ისეთი საბრძოლო იარაღები, რომლებიც ანადგურებს ბუნებას. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ადამიანები ერთმანეთის საპირისპიროდ იქცევიან. მოდით, ჩემს მოწმეებს მოვუსმინოთ.

ბიზნესმენმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

–იმისათვის, რომ გადარჩეს, ადამიანი ძლიერი უნდა იყოს, ძლიერი! ადამიანის ძლიერება კი, ფულია. თუ ბევრი ფული გაქვს, ვერავინ დაგჩაგრავს. სხვათა შორის, ეს ყველაფერი თქვენგან ვისწავლეთ, – მიმართა მან ბუნების წარმომადგენლებს – განა თქვენ არ სჭამთ სუსტებს?! განა ზღვაში დიდი თევზები პატარა თევზებით არ იკვებებიან?! მეცნიერები კი ჩვენთვის მუშაობენ. – როგორ გეკადრებათ! – წამოიყვირა მეცნიერმა – განა იმისთვის ვქმნით ახალ ტექნიკას, რომ თქვენ გამდიდრდეთ! განა იმისთვის ვწერთ სამეცნიერო ნაშრომებს, რომ თქვენისთანებმა ასე დამცინავად ილაპარაკონ?! ჩვენ ამას ხალხის საკეთილდღეოდ ვაკეთებთ, მაგრამ თქვენისთანებმა ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს. მეცნიერმა ხელი ჩაიქნია და დაჯდა. ბიზნესმენიც შემოტრიალდა და თავისი სკამისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ქალბატონ ფლორას აღელვებულმა ხმამ გააჩერა.

–თუ შეიძლება, ერთი წუთით მომისმინეთ! გახსოვთ ბავშვობაში ბალახში ფეხშიშველამ პირველად რომ გაიარეთ, რა ნეტარება იგრძენით! ანდა სოფელში ბებიასთან რომ ჩადიოდით, ეზოში, კაკლის ჩრდილში ჰამაკი რომ გქონდათ გაბმული, რა გემრიელად გეძინათ შიგ?! ხომ გახსოვთ? მდინარის ნაპირზე, სოფლის ბიჭებთან ერთად მეზობლის ყანიდან სიმინდებს რომ იპარავდით და იქვე კოცონზე წვავდით, კარგი იყო არა?! ის პირველი თაიგული, თქვენს შეყვარებულს რომ მიართვით, ნამდვილად გეხსომებათ, დილით ცვრით დანამული ხავერდოვანი წითელი ვარდები. დავუშვათ, ყველაფერი დაგავიწყდათ, მაგრამ ყოველ საღამოს რესტორანში მშვენიერ ღვინოს რომ მიირთმევთ, ესეც ხომ ჩემი საჩუქარია?! ხომ ხედავ, ადამიანო, მე შენთვის არაფერი დამნანებია! მაგრამ სამაგიეროდ რა მივიღე? ოზონის ხვრელი იზრდება და იზრდება. ვინ უნდა იზრუნოს ამაზე?! ჩემი კანი სულ უფრო მეტად იწვება, ხილს გემო ეკარგება, გავა დრო და საამაყოც არაფერი მექნება. – ფლორას ცრემლები წამოსცვივდა და სლუკუნ-სლუკუნით წავიდა თავისი სკამისკენ.

–მართალია, მართალი! – ჩაილაპარაკა ბერიკაცმა.

–შე კაი კაცო! თუ რამის თქმა გინდა, ადექი და მოახსენე სასამართლოს! – მიმართა მას მდივანმა.

–მართალია, მაშ, მართალი! – ახლა უკვე ფეხზე ამდგარი, ხმამაღლა ამბობდა ბერიკაცი: –რა ვერჩით ამ ბუნებასა! გვაძლევს და არა გვყოფნის! როდემდისინ, ხალხო?! ადრე მორწყვაც არ უნდოდა, თავისით ხარობდა ყველაფერი. ახლა მორწყვა კი არა, ნაირ-ნაირი სასუქით თუ არ გაამღე მიწა, არაფერი გამოვა. გაჭირდა ცხოვრება, მაშ!

–გაჭირდა და მერე როგორ გაჭირდა! – ველარ მოითმინა ქერიმა ქალმა და შვილებიანად მიიჭრა კათედრასთან.

–თქვენი დიდი ხათრი მაქვს, ქალბატონო ფლორა, მაგრამ ამ ობლებს, რომ შესცივდებათ, ხე აღარ მოვჭრა?

–როგორც ვატყობ, თქვენი საშველი არ არის, რაკრაკა ხმით წამოიწყო ჰიდრომ. არ გამბარაზოთ, ოორემ, მე ვიცი, რასაც ვიზამ! რომ შემიცვალეთ კალაპოტები და ადგილ-ადგილ დამაგროვეთ, ყველგან ერთდროულად გადმოვალ და მერე იმახეთ არ გვყოფნის, არ გვყოფნისო.

–დაწყნარდით, დაწყნარდით! – ხმა აიმაღლა მოსამართლემ: –ასეთ ხმაურს დარბაზში ვერ ავიტან, საქმის ძირითადი არსი გასაგებია, ახლა კი მოისმინეთ განაჩენი:

–მიესაჯოთ ადამიანებს ბუნების მომჭირნეობით ხარჯვა მისთვის ზიანის მიუყენებლად. მდიდრებს მიესაჯოთ თავიანთი ქონების განაწილება ღარიბებისთვის, რათა მათ შეიძინონ საწვავი და არ გაჩეხონ ტყეები. მშობლებს, პედაგოგებს და მეცნიერებს მიესაჯოთ შეასწავლონ მოზარდებს ეკოლოგიური პრობლემები, ყველას ერთად კი ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი პლანეტის გადარჩენა მიესაჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა დღეის და ხვალის

მე ვხედავ, მოდის ნიჭიერი თაობა

იანა ტორჩინავა

საერო სკოლა „აისი" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა საქართველოში და ასევე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დირექტორია მისი ხელმძღვანელი იანა ტორჩინავაც. თუმცა ასაკი ამ შემთხვევაში მხოლოდ დადებითი ფაქტორი გახლავთ. სკოლა სწავლა-განათლების ახალ სისტემაზეა ორიენტირებული და დირექტორიც თამამად ნერგავს სიახლეებს. ქალბატონმა იანამ პედაგოგ-მასწავლებლებიც შეგნებულად შეარჩია ახალგაზრდები, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ისინი უფრო მეტი ხალისით ამოუდგებოდნენ მხარში და მეტი ენერგიით მოჰკიდებდნენ ხელს ახალი სკოლის ჩამოყალიბების საქმეს. ასეც მოხდა, ნათია კაპანაძე, ელდარ კოკია, ია სორდია, ნინო თევზაძე, თამრიკო გურაშვილი, ნუნუ პატაშური, ლალი ქათამაძე, ხათუნა ჯახუა, თამარ კუპრეიშვილი, მანანა კეკელია, ლელა ალანია, ნინო მექვაბიძე, ელზა გაბაძე, ნანა ესართია, ნანა კვარაცხელია, ია თაფლაძე და როლანდ სხვიტარიძე თანამოაზრეთა გუნდად გაერთიანდნენ და ერთად ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს.

„აისში" პირველივე კლასიდან ისწავლება უცხო ენები და მათემატიკა, მეხუთე კლასიდან კიდევ ერთი უცხო ენა ემატებათ. საბაზო სკოლის შემდეგ მიმდინარეობს პროფილირებული სწავლება. კლასები ისეა დაკომპლექტებული, რომ თითოეულში თხუთმეტ მოსწავლეზე მეტი არ არის. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფებიც, სადაც მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში მეცადინეობენ და მიღებულ ცოდნას იმტკიცებენ. სკოლაში არის ცეკვის, თეატრალური ხელოვნების და ხატვის წრეები. „აისი" ამაყობს წარჩინებული მოსწავლეებით, რომელთა შორის არიან მერი ანთია, სანდრო და სოფო შამათავები, ოთარ ტაბატაძე, გურამ ფარფალია, ნიკოლოზ ნიშნიანიძე, ანი გოგოლაშვილი, ნინო ჭედია, ლევან და ელისო გოგუები, ანი ბიწაძე, ზურაბ გურჩიანი, ქეთი ცალუღელაშვილი, სოფო გულედანი, ზურაბ ჯიშკარიანი, სესილ ქადარია, მეგი აბზიანიძე, სალომე ქადარია და სხვა.

– უცნაური სიამაყე მიპყრობს, – ამბობს იანა მასწავლებელი – ვგრძნობ, რომ ახალგაზრდობა ჯანსაღია, ცხადად ვხედავ მტკიცე, სწორი ნაბიჯით მომავალ ამაყ ქართველ ერს, რომელმაც შეინარჩუნა მეობა, ზნე, ადათი. ჭირმა ჩვენი ახალგაზრდობა გაასალკლდევა, უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად განაწყო და საქართველოში ყალყზე შემდგარი ზღვის ტალღებივით მოგრიალებს ნიჭიერი თაობა. ყოველივე ამაში კი უდიდესი ღვაწლი მასწავლებლებს მიუძღვით ...

ჩვენ კი ქალბატონ იანას სიტყვებს დავუმატებდით, რომ ამ მასწავლებელთა შორის უთუოდ „აისის" პედაგოგები და უწინარესად მისი დირექტორიც იგულისხმებიან.

და ბოლოს სულ მოკლედ ქ-ნ იანა ტორჩინავას შესახებ:

სკოლა ზუგდიდში დაამთავრა, სწავლა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. 1993 წელს ჩაირიცხა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაზე და დღესაც სკოლაში მუშაობის პარალელურად ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას. არის შვიდი შრომის ავტორი, თსუ-ს სოხუმის ფილიალის ლექტორი, დაწყებითი პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრის თანამშრომელი.

მარინა ჟირცხულავა.

ჩვენები შენთვის და შენი ძმობელებისთვის

თუ ბრტყელტერფიანობა გაწუხებთ

ორი წლის წინ თბილისში დაფუძნებულ, ულტრათანამედროვე დონეზე აღჭურვილ ტერფის ფუნქციის კომპიუტერული დიაგნოსტიკისა და კორექციის ცენტრში „ტერდი" ტერფის სხვადასხვა პათოლოგიის დადგენა-მკურნალობაში ეხმარებიან ადამიანებს.

მოზარდებში ტერფის დეფორმაციის სხვადასხვა სახეობებს შორის (ქუსლის დეზი, დიაბეტური ტერფი, ტერფმრუდობა, მძიმე ფეხი და ა.შ.) ყველაზე გავრცელებულია ბრტყელტერფიანობა. ბრტყელი ტერფი საკმაოდ არასასიამოვნო რამ არის. იმის გამო, რომ შუა ტერფის მიდამო სიარულში არ მონაწილეობს და გარდა იმისა, რომ მისი პატრონი უშნოდ დადის და ფეხსაცმელსაც სხვებზე ადრე ცვეთს, მისთვის დატვირთვა, ვთქვათ, სპორტზე სიარული აკრძალულია. „ტერდში" მომუშავე სპეციალისტებმა ორწლინახევრიანი დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე დაადგინეს, რომ მოზარდებში ბრტყელი ტერფის გამოსწორება შეიძლება,



ოღონდ ეს უნდა მოხდეს მანამ, სანამ ბავშვი იზრდება ანუ სანამ მას ეზრდება ძვლები და უყალიბდება კუნთები. დადგენილია, რომ ბრტყელტერფიან ბავშვებს სქოლიოზიც სხვებზე ხშირად უვითარდებათ.

იმისათვის, რომ ყველა ამ უსიამოვნებისაგან გათავისუფლდეთ და არც გართულებებისა გეშინოდეთ, გირჩევთ მიმართოთ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრს „ტერდი", სადაც ზუსტ დიაგნოზსაც დაგისვამენ, რჩევებსაც მოგცემენ, ინდივიდუალურ საკორექციო ღაბაშ-ჩასაფენსაც შეგირჩევენ და ტერფის ფუნქციონალურ დატვირთვასაც და მის კორექციასაც ჩაგიტარებენ.

ICNOBDET

ნინო ქელბაქიანი

მეორეკლასელი ნინო ქელბაქიანი ძალიან ჭკვიანი, გონიერი ბავშვია, ადვილად და ხალისით სწავლობს, განსაკუთრებით კი მათემატიკა უყვარს, რაღა დაგიმალოთ და, ცოტა პრანჭიაც არის. ალბათ გარეგნობაც ხელს რომ უწყობს და მიხვრა-მოხვრაც, სილამაზის კონკურსში მონაწილეობაზე იმიტომ ოცნებობს. თუმცა უფრო სერიოზული ოცნებაც აქვს – უნდა ექიმი გამოვიდეს და ყველას უმკურნალოს – დიდსაც და პატარასაც. ნინოს ერთი ოცნება უკვე აუხდა – ახლახან დედამ პატარა დაიკო გაუჩინა და მას შემდეგ ეჭვი აღარ ეპარება, რომ სხვა ოცნებებიც უთუოდ აუსრულდება და თუ ასე მოხდა, დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ მომავალში მისი სახით მშვენიერი გარეგნობის მცოდნე და გულისხმიერი ექიმი გვეყოლება.

ICNOBDET

ზურაბ ჩიქოვანი

ზურაბ ჩიქოვანი ჯერ პატარაა, მეორე კლასის მოსწავლეა, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ მისი სახით ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი იზრდება. ალბათ იკითხავთ, მაინც რაში ეტყობაო? ახლავე მოგახსენებთ.

გარდა იმისა, რომ კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, ზურა გულმოდგინედ ეუფლება უცხო ენებს, სერიოზულად არის გატაცებული სპორტით, უდიდესი სიამოვნებით თამაშობს ჭადრაკს, უყვარს ხატვა და კარგადაც ხატავს, ასევე ძალიან უყვარს მუსიკა. ოჯახში მამაკაცს ელემენტარული რამეების გაკეთება – ლურსმნის მიჭედება, წყობიდან გამოსული ონკანის თუ ჩამრთველ-ამომრთველის და ამისთანების გაკეთება თავიდანვე უნდა შეეძლოს – ამაში ზუკა ღრმად არის დარწმუნებული და ამიტომაც ახლავე იწაფავს ხელს. სახლში თუ რამ გაფუჭდება, მის შეკეთებას ჯერ ზურა სცდის და თუ ვერ შეძლო, ხელოსანს მაშინღა მიმართავენ (ეს კი იშვიათად ხდება).

გულგახსნილ და ხალისიან ბიჭს ძალიან უყვარს ხალხში, ტოლებში ყოფნა, მეგობარ-ამხანაგებიც მრავლად ჰყავს და თუმცა ძალიან დაკავებულია, მათთან საურთიერთობოდ, სათამაშოდ და გასართობად ყოველთვის პოულობს დროს. რა გასაკვირია, რომ ჩიქოვანების ოჯახში ყველა შეჰხარის ზურას და იმედით ელის მის გაზრდა-დავაჟკაცებას. ხოლო, თბილისის 55-ე სკოლაშიც, სადაც ზურა სწავლობს, სამეგობროსა და სანათესაოშიც ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ გონიერი, კეთილი და გულისხმიერი ყმაწვილის სახით ქვეყანას ერთი სასახელო შვილი ეზრდება.

ჩვენი ვიქტორინა-კონკურსის გამარჯვებულები რედაქციაში

ჩვენი ვიქტორინა-კონკურსის გამარჯვებულების შესახებ უკვე წაიკითხავდით „ნაკადულის“ №-6-ში. მოგვიანებით ისინი რედაქციაში მოვიწვიეთ და დამსახურებული პრემიები და საჩუქრები გადავეცით. სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში ყველა გამარჯვებული ვერ ჩამოვიდა, ამიტომაც სამახსოვრო სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა რედაქციაში შეხვედრისას გადაიღო, მხოლოდ რამდენიმე მათგანია აღბეჭდილი: სალომე ადამია, ეკა სხილაძე, ნატო მელიქიძე, ელისო მღებრიშვილი და ელისოს და, ჩვენი უმცროსი მეგობარი ანა მღებრიშვილი.

დასამახსოვრებელი სახელები

გიორგი ომსარაშვილი



"წიგნს პირველად ვეზიარე ი. გოგებაშვილის "დედა ენით", თუ არ ჩავთვლით იმ წიგნებს, რასაც დედა პატარაობისას მიკითხავდა. ანბანი 2 წლის ასაკში ვისწავლე, 4 წლიდან გამართულად ვკითხულობ. აქედან დაიწყო ჩემი მოგზაურობა ზღაპრულ სამყაროში. მეორე კლასიდან ვკითხულობ ისტორიულ წიგნებს და აღმოვაჩინე, რომ ყველაზე მეტად ამ ჟანრის წიგნების კითხვა მიტაცებს. სულ პირველად "ჰანიბალი" წავიკითხე, წიგნი გამოჩენილ ფინიკიელ მთავარსარდალზე, მას მოჰყვა "დედა ისტორია", "ქართლის ცხოვრება", "კეისარიადა" და სხვა. ხშირად მიფიქრია, წიგნი რომ არ იყოს, თავისუფალ დროს, რა უნდა მეკეთებინა..." - ამ სიტყვებში დაფიქრებული, მოაზროვნე, ცოდნასმოწყურებული ყმაწვილი მოჩანს. დიახ, სწორედ ასეთია თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის № 18 საშუალო სკოლა-ლიცეუმის VII ბ კლასის მოსწავლე გიორგი ომსარაშვილი.

სიკეთით, სიწმინდით, გულწრფელობით და ხალასი ნიჭით არის აღბეჭდილი გიორგის ლექსები თუ ჩანახატები. კითხულობ მის ნაწერებს და გული გინათდება - ყმაწვილი, რომელიც ამდენს ხედავს, რომელსაც ამგვარი რამეები აწუხებს და აფიქრებს, უთუოდ მზეკეთილი და განსწავლული, სხვათა ბედზე დაფიქრებული და მზრუნველი პიროვნება დადგება და მაშასადამე, მისი სახით ქვეყანას ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეემატება.

გარდა იმისა, რომ წერს, გიორგი ხატვითაც არის გატაცებული და ქართული ხალხური ცეკვებითაც. შარშანწინ მან სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლ "ქართულ ფოლკლორთან" ერთად კონცერტებით შემოიარა საბერძნეთის, იტალიის, ავსტრიის და ჩეხეთის ქალაქები.

თანაკლასელებს ძალიან უყვართ გიორგი და წელს სკოლაში თვითონ მოაწყვეს მისი შემოქმედებითი საათი. როდესაც ამის შესახებ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიაში გაიგეს (გიორგი მეორე კლასიდან დადის ამ სტუდიაში), მთელი კლასი მიიწვიეს თავისთან და გაერთიანებული ძალებით გიორგის საოცრად საინტერესო შემოქმედებითი საღამო გაუმართეს.

მათხოვარი
ბავშვი მოწყალებას ითხოვს

მატარებლის ვაგონში
შემოვიდა ბრმა,
ათიოდე წლის...
უკანკალებს ხმა.
"არის ხალხი ვაგონში?"
ეკითხება ტოლს,
ნაღვლიანი თვალებით
იყურება შორს.
და... დაიწყო სიმღერა
ხატი ჰქონდა გულთან,
პაწაწინა ხელებით
მოითხოვა ხურდა.
ზოგმა შუბლი შეიკრა,
ზოგმა ზურგი აქცია,
ბედმა მისი ბავშვობა
ტანჯვად გადააქცია.
ხალხო, ნუ ხართ გულცივი,
ხალხო, მოდით გონს,
ის ხომ თვალით ვერ ხედავს,
მაგრამ გულით გრძნობს.
მიდი-მოდის ხალხში,
ვინ მიიღებს ეულს?
ეძებს ბედნიერებას
სიზმრად გადაქცეულს.
მუდმივი მოლოდინი,
ლუკმა პურზე ფიქრი,
დადნა მისი ბავშვობა,
როგორც თოვლის ფიფქი.
ნუ არიდებთ სახეს,
ჩაუყარეთ ხურდა,
თუმც კი ფულზე მეტად
მოფერება უნდა.
ცეცხლისფერ მზეს დაედო
ნაცრისფერი თითქოს,
მათხოვარი ბავშვი
მოწყალებას ითხოვს.
მატარებლის ვაგონში
შემოვიდა ბრმა,
ათიოდე წლის...
უკანკალებს ხმა.
"დარჩა ვინმე ვაგონში?"
ეკითხება ტოლს,
ცრემლიანი თვალებით
იყურება შორს.

ტერენტი გრანელს

რას ნიშნავს შეშლილი ანდა ჭკვიანი,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ამ ქვეყნად თავის მძიმე ჯვარს
ზიდავს
ადამიანი - ღმერთის ქმნილება.

ვინ არის ფლიდი ანდა ერთგული,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ზებუნებრივი განაგებს ქვეყნად
ჩვენი ცხოვრების ყველა ცვლილებას.

რა არის კარგი ან რაა ცუდი,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ყოფნა-არყოფნის საკითხს ვერა
წყვეტს
ადამიანი - უფლის ქმნილება.

ჯვრის მონასტერი

სადაც ერთურთს უერთდება
არაგვი და მტკვარი,
ცის კიდემდე აზიდულა
მონასტერი "ჯვარი".
ჯვარი- სიმბოლო წამების,
ჯვარი - სიმბოლო რწმენის,
ჯვრის მონასტერი ძალა და
სულის სიწმინდე ერის.

ჩვენი ცვალებადი მკითხველები

სალომე სამადაშვილი

სალომე სამადაშვილმა პირველ სექტემბერს პირველად შეაღო სკოლის კარი და მისმა თანაკლასელებმა ჯერ არ იციან, როგორი ხალისიანი, გონიერი და კეთილმოსურნე და ცოტა ჩრანჭია ამხანაგი ეყოლებათ მისი სახით; არც მასწავლებელმა იცის, რომ მისი ეს მოსწავლე კლასის სული და გული გახდება, რომ სწავლითაც სულ ფრიადებზე ისწავლის და ცეკვა-სიმღერაშიც გამოიჩენს თავს და ხატვაშიც.

სამაგიეროდ ყოველივე ამაში წინდაწინვე არიან დარწმუნებულები სალომეს მშობლები, ნათესავები, საბავშვო ბაღის და სტუდია "მეკვლეს" მასწავლებლები. მაინც რა აძლევთ მათ ამგვარი რწმენის საფუძველს? რა და ის, რომ:

სალომემ ცხრა თვისამ აიდგა ენა და იმთავითვე გამართულად დაიწყო ლაპარაკი; ერთი წლის იყო, როცა შეუცდომლად მღეროდა ქართულ სიმღერებს; წლინახევრის იყო, როდესაც დედის მიერ დატუქსული გაიბუტა, დედიკომ დამამცირაო; ადვილად აითვისა რუსული ენა (სალომე რუსულ საბავშვო ბაღში დადიოდა) და ზეპირად იცის ძალზე ბევრი რუსი პოეტის ლექსები; სამი წლისაც არ იყო, სტუდია "მეკვლეში" რომ მიიყვანეს და მისი აბსოლუტური სმენითა და ბუნებრივი არტისტულობით მოხიბლულმა ირინე და ელდარ მასწავლებლებმა ("მეკვლეს" ხელმძღვანელები ირინე და ელდარ მეღვინიშვილები) სამი წლისას უკვე სოლო სიმღერები მისცეს; სულ ადვილად აითვისა გიტარა (აკორდების ალება, ბანები და ა.შ.); ისე მალე შეეჩვია სცენას, ისე სწრაფად ითვისებდა ყველა მოძრაობას, მონახაზს, რომ ყველას აოცებდა, დღეს ხომ ნებისმიერ სცენაზე მიკროფონით ხელში კარგი პროფესიონალი მომღერალივით ლაღად და ბუნებრივად გრძნობს თავს; სცენაზე უკომპლექსოა, სულ ადვილად იყოლიებს დარბაზს (ქუთაისში მიმდინარე ნორჩ შემოქმედთა ფესტივალზე ყოველი კონკურსისთვის დამახასიათებელი დაძაბულობის მოხსნა სწორედ სამი წლის სალომე სამადაშვილმა შეძლო და ამ ციცქნა არტისტის გამოსვლის შემდეგ თანაქალაქელთა საგულშემატკივროდ მისულ ქუთაისელთა გულებიც დაიპყრო); ძალიან უყვარს უფროსებთან ურთიერთობა და ამას თვითონ იმით ხსნის, რომ დიდებისგან ბევრ რამეს სწავლობს; სტუმრებიც ძალიან უყვარს და სუფრის გაწყობაში ყოველთვის ეხმარება დედას და ბებიას; ნამცხვრების გამოცხობაც იცის ("ვალენტინობის" დღეს საკუთარი ხელით გამოაცხო ნამცხვრები); სალომეს ხატვაც ძალიან უყვარს და გატაცებით ხატავს, აკვარელის საღებავებით (უფრო ნაირფერი ყვავილების ხატვა უყვარს); მიღებული აქვს არა ერთი სიგელი, დიპლომი თუ პრიზი...

მგონი, ყველაფერი ჩამოვთვალეთ, თუმცა არა, კიდევ დაგვრჩა სათქმელი: სალომე ძალიან ჩრანჭიაა და როცა ეუბნებიან, ნუ იჩრანჭებიო, კეკლუცად იღიმება, თვალებს ეშმაკურად წკურავს და პასუხობს: "რა ვქნა, მიხდებაო".

ემზარ ბებია

ემზარ, ემიკო, როგორც მას მოფერებით ეძახიან ახლობლები, ბებია ჯერ ხუთი წლისაა, მაგრამ ახლავე ამჟღავნებს ვაჟკაცურ ხასიათს. გულღია, კეთილი და ამავე დროს დინჯი, თავდაჭერილი, ზრდილობიანი ბიჭი ქართველი კაცის განსახიერება გახდა მსკოვის იმ რუსული საბავშვო ბაღის მასწავლებლებისა თუ აღსაზრდელებისთვის, რომელშიც იგი დადის. ემიკოს არასოდეს არაფერი ეშლება თანატოლებთან თუ უფროსებთან ურთიერთობაში. გოგონების თვალში იგი ჭეშმარიტი რაინდია – თავაზიანი, გაბედული, ერთგული და გულუხვი, ამიტომაც ირჩევს ყველა მათგანი პარტნიორად

ცეკვასა თუ თამაშში, ბიჭებისთვის კი ერთგული, საიმედო, მამაცი და საზრიანი მეგობარია. თავის ჯგუფში ემიკო ბებია ერთადერთი ქართველია, მაგრამ ურთიერთობა არავისთან უჭირს. რუსულსაც ნელ-ნელა სწავლობს, უკვე ბევრი ლექსი თუ ზღაპარი იცის რუსულად, სხვა უცხო ენებსაც ადვილად ეუფლება. საბავშვო ბაღში ყველას ერთნაირად უყვარს ემზარი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდიც და პატარაც ერთგვარ პატივსაც სცემს მას.

შაბათ-კვირას ემიკო დედასთან და მამასთან ერთად ატარებს, უყვება ბაღის ამბებს, მათთან ერთად სეირნობს პარკში, ერთობა სხვადასხვა ატრაქციონზე. როგორც უამრავ მის თანატოლს, ემიკოსაც ძალიან უყვარს „მაკდონალდში" სტუმრობა და მშობლები ამ სურვილს სიამოვნებით უსრულებენ. ხომ ასე პატარაა, მაგრამ ბიჭმა უკვე გამონახა საერთო ენა კომპიუტერთან და ალბათ სულ მალე სრულყოფილად დაეუფლება მას. კომპიუტერის სიყვარული სულაც არ უშლის ხელს მულტიპიკაციურ ფილმებს უყუროს. ძილის წინ ემიკო აუცილებლად უყურებს მხიარულ ანიმაციურ კინოებს, მერე კი დედიკოს და მამიკოს აკოცებს და ტკბილად იძინებს. რაღა თქმა უნდა, ძილში სულ ფერად-ფერად სიზმრებს ხედავს და ამიტომაც დილით სულ კარგ ხასიათზე, კეთილად განწყობილი იღვიძებს და მთელ ოჯახს ხალისით, სიყვარულითა და სიკეთით ავსებს.

კითხვა-თქვენი

მაინტერესებს ყველა ადამიანს ესიზმრება თუ არა სიზმარი და საერთოდ, რა არის სიზმარი?

ლიზა ცხვეთაძე, ქ. თბილისი.

გახსოვთ ჰანს ქრისტიან ანდერსენის მშვენიერი ზღაპარი „ოლე ლუკოიე"? ყოველღამე ესტუმრება ეს ეს მხიარული ქონდრის კაცი ბავშვებს, თავზე ჭრელ ქოლგას გადააფარებს და ისინიც მთელი ღამე ჯადოსნურ ზღაპრებს ხედავენ სიზმრად ...

მეცნიერებამ ზუსტად ჯერ არ იცის, რატომ გვესიზმრება სიზმრები, იმაზე კი უფრო გარკვევით შეიძლება ლაპარაკი, თუ რისთვის ვნახულობთ მათ. თურმე, ღამეული ხილვები ტვინის გაუცნობიერებელი შემოქმედებითი მუშაობაა, რომელიც ისევეა საჭირო, როგორც დღის გაცნობიერებული მუშაობა. სწორი, სრულფასოვანი ძილის დროს ტვინი თავისუფლდება დღის განმავლობაში დაგროვილი დაძაბულობისაგან, კონფლიქტებისაგან, ზოგჯერ კი ისეთ პრობლემათა ამოხსნასაც აგნებს, რომლებზეც ცხადში ამაოდ იმტვრევდა თავს. ცნობილია, რომ ძილში ხშირად მიუგნიათ მეცნიერეული აღმოჩენისათვის, – მენდელეევმა ხომ სიზმრად იხილა თავისი ცნობილი ტაბულა, – დაუწერიათ საუცხოო მუსიკა. საერთოდ დადგენილია, რომ რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო საინტერესო, ორიგინალურ სიზმრებს ნახულობს ძილში.

მაგრამ ისეთი ადამიანებიც ხომ არსებობენ, რომლებიც ჩვიან არასდროს არაფერი გვესიზმრებაო. ე.ი. რა, ისინი უნიჭოები ყოფილან? ცხადია, არა. სიზმარს ყველა ნახულობს, ოღონდ ყველა ვერ იმახსოვრებს. ხოლო ვინც იმახსოვრებს, იმასაც თითო-ოროლას მოყოლა თუ შეუძლია ხოლმე, თუმცა სინამდვილეში ერთ ღამეში უფრო მეტს, ოთხს, ზოგჯერ კი ექვს სიზმარსაც ნახულობს. ყოველი საათნახევრის შემდეგ ხილვებსმოკლებულ ღრმა ძილს განსაკუთრებული, ეგრეთწოდებული „სწრაფი" ძილი ცვლის – სწორედ მაშინ გვესტუმრება ხოლმე ოლე ლუკოიე, ოღონდ მცირე ხნით. მისი ვიზიტი პატარა მულტფილმზე მეტხანს არ გრძელდება. ამის შემდეგ ძილი კვლავ ღრმა ხდება. და მაინც, დიდი დანიელი მეზღაპრე მართალი იყო – ბავშვებთან კეთილი ქონდრისკაცი უფრო ხშირად მოდის და უფრო დიდხანს რჩება სტუმრად. ვინ იცის, იქნებ, ამიტომაც არის ყველა პატარა ნიჭიერი?

რას წარმოადგენს ე.წ. აღმოსავლური კალენდარი, სადაც ყოველ წელს თავისი ზოდიაქოს ნიშანი, თილისმა აქვს?

გიგი ვაშაძე, 12 წლის.

სიტყვა „ზოდიაქო" ლათინურიდან მოდის და „ცხოველს" ნიშნავს, ზოდიაქოს ყოველი ნიშნის მიღმა იმალება თანავარსკვლავედი, რომელშიც ამა თუ იმ თვეში იმყოფება მზე. ამგვარი ნიშანი იმდენია, რამდენი თვეც არის წელიწადში. ზოდიაქოს ნიშნების უმრავლესობა ცხოველთა სახელებს ატარებს. ამ ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა „აღმოსავლური ზოდიაქო". იგი ჩინელებმა გამოიგონეს და „ყვითელ გზად" მოგვთლეს. აი რომელი თანავარსკვლავედები შედის ამ ზოდიაქოში: ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ხარი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი, ტახი, ვირთხა. ისინი განლაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მზის ხილული მოძრაობის საპირისპირო გზაზე. ამიტომაც თანავარსკვლავედი ყოველთვე კი არ იცვლება, არამედ წელიწადში ერთხელ.

შეამჩნევდით, რომ ზოდიაქოს ყველა ცხოველი ნამდვილად ცხოვრობს დედამიწაზე. მარტო დრაკონია ფანტასტიკური. ყველა ცხოველს სხვადასხვაგვარი ხასიათი აქვს. მიჩნეულია, რომ ამა თუ იმ ცხოველის წელს დაბადებული ადამიანი ხასიათით მას ჰგავს. ვთქვათ, დრაკონის წელს დაბადებული საუცხოო ჯანმრთელობის პატრონია. იგი ენერგიული, გაბედული, ჯიუტი, პატიოსანი, საიმედო და გულწრფელია. გველის წელს დაბადებულები ბრძენები, მაგრამ ხშირად ეგოისტები და პატივმოყვარეები არიან, მათ ახასიათებთ გამბედაობა და მიზანსწრაფულობა, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ.

ყოველ ცხოველს თავისი საყვარელი ფერი აქვს. აღმოსავლეთში მიაჩნიათ, რომ იმისათვის, რათა მომავალი წელი ბედნიერი და წარმატებული იყოს, ახალ წელს იმ ფერის ტანსაცმელი უნდა ჩავიცვათ, რომელიც თანავარსკვლავედის განმასახიერებელ ცხოველს ესიამოვნება.

პასუხი-ჩვენი

ოფოშსერი

თეონა თათენაშვილი.
მცხეთის რ-ნი სოფ.
კალისის საშ. სკოლა,
VIII კლ.

სამშობლო

სამშობლოს გმირულ წარსულს
რომ გადავავლოთ თვალი,
ვიფიქროთ, ერთად ყველამ
რით გადვიხადოთ ვალი –
მწერალმა – კალმით,
მოსწავლემ – სწავლით,
მებრძოლმა – მკლავით
ვეცადოთ, იქნებ საქართველოს
ვუშველოთ ამით!

***

თამარის გზები, დავითის გზები
კიდევ ხელახლა გასავლელია,
კვლავ საქართველოს მთლიანობისთვის
მრავალი ოფლი დასაღვრელია.

დედა

ნაჯაფი ხელები,
ნაზარდი შვილები,
თმები ჭაღარა,
ფიქრმა დაღალა
შუბლი დაღარული,
თვალები დანამული.

ეს ნახატი პატარა ანა მანჯგალაძემ დახატა, ახლა ანა „დიდი", შვიდი წლისაა და თბილისის 49-ე საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეა.

***

ღმერთო, როგორ წვიმს
რანაირი დარებია,
ნუთუ ეს წამები
ჩვენი განშორების წამებია?
ასე რომ მაწვალებს
შენი ლამაზი თვალებია,
მე შენზე მეტად
ქვეყნად არავინ მყვარებია.

***

ჩემს ცხოვრებაში შემოხვედი
როგორც თოლია,
მე შენი მოსვლა მოულოდნელი
თოვლი მგონია.
შემოხვედი და წახვედი,
გაქრი როგორც ფიფქი,
წახვედი და დამიტოვე
უსაშველო ფიქრი.
ნუთუ აღარ გენატრები,
ნუთუ აღარ გიმძიმს,
რომ დამტოვე სევდიანი
უსაშველო ფიქრით?

მარა ავალიანი.
17 წლის.
გარდაბნის რ-ნი. სოფ ლეჟვანიერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოიდგინე...

1911 წლის 16 სექტემბერი. იტალია.

ტირენის ზღვის სანაპიროზე ადრეული შემოდგომის ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა. მშვიდი და ოდნავ სევდიანი. სოფელ სანტა-მარინელაში მზე ნელინელ ელამუნებოდა ზეთის ხილის ჭალებსა და მტევანდამძიმებულ ვენახებს. ზღვის სანაპიროს დინჯად მიუყვებოდნენ ორნი. ერთ-ერთს, სანდომიანს და ხუჭუჭთმიანს, პატრის სუტანა ემოსა. ისინი რაღაცაზე დარბაისლურად მუსაიფობდნენ. ანაზდად ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ზღვა, ადრე რომ ზანტად ირწეოდა, ერთბაშად მოიქუფრა, გააფთრებულ მხეცს დაემსგავსა და გავეშებული წამოვიდა. ყალყზე შემდგარი ტალღები გამეტებით ეხეთქებოდნენ ნაპირს. ხალხი სასწრაფოდ გაერიდა სანაპირო ზოლს. იმ ორმაც აუჩქარა ნაბიჯს, მაგრამ ტალღებს გამოყოლილმა ადამიანის სასოწარკვეთილმა ყვირილმა გააჩერა. ვიღაც იხრჩობოდა. ორივენი დაუფიქრებლად გადაეშვნენ ზღვაში. მერე ... მერე დასახრჩობად განწირული მოდარაჯე მენავეებმა გადაარჩინეს, მის საშველად აბობოქრებულ ზღვას შებმულები კი ტალღებმა დაახრჩო.

რამდენიმე დღის შემდეგ თავგანწირვის მსხვერპლს სანტა-მარინელას პატარა ეკლესიასთან გაუთხარეს სამარე. მოვერცხლილ კუბოში ჩასვენებულ პატრს გულზე რკინის ჯვარი ესვენა და სამი სქელტანიანი წიგნი ედო. ბევრი რამ ითქვა სამარის პირას განსვენებულის სულდიდობაზე, სიკეთეზე, განსწავლულობაზე, კეთილშობილებაზე, მოყვასის გადასარჩენად შეწირული სიცოცხლის უმწიკვლობაზე. ითქვა ლათინურად, იტალიურად, ფრანგულად, პატრის მშობლიურ, ქართულ ენაზე კი ერთი სიტყვაც არ თქმულა. წმინდა იოსების კოლეგიის ძმობის წევრებმა დიდი პატივით მიაბარეს მიწას ერთ-ერთი თავისიანთაგანი და ცოტა ვინმემ თუ უწყოდა, რომ ამ კეთილშობილი აბატის სახით მისმა სამშობლომ დაკარგა თავისი ისტორიის დიდი მოჭირნახულე, მკვლევარი და მემატიანე.

ახალგათხრილ სამარეზე დარჩა პატარა ხის ჯვარი წარწერით „აქ განისვენებს აბატი მიქელ თამარათი" ... მოგვიანებით აქ აბატის ძეგლი დაიდგა, მისი ნეშტი კი ქალაქ ჩივიტავეკიაში გადაასვენეს. ასე მიაგეს მას პატივი იტალიაში ...

საქართველოში კი, სადაც მიხეილ თამარაშვილი დაიბადა, ბავშვობისა და ყრმობის წლები გატარა, და რომლის თავდადებულ და ერთგულ სამსახურსაც შეალია თავისი მართალი სიცოცხლე, გულმოკლულები გლოვობდნენ ერთი საუკეთესო შვილის დაკარგვას.

თუ ვეღარ გნახე, ტურფავ ედემო...

მის მშობლიურ მესხეთში, ახალციხეში, თამარაშვილის უფროსი და უერთგულესი მეგობარი და მასწავლებელი ივანე გვარამაძე მწუხარებით მოსთქვამდა: „ვგლოვობ, ვტირი მწარედ, წელი მწყდება, მუხლებს ვიტყებ, თავში ვიცემ, რომ აღარავინ მეგულება ჩვენში ჯერჯერობით მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილ განათლებული, შეგნებული, მართალი, სუფთა, ნიჭიერი, კურთხეული ენაპირის მქონე, მიმზიდველი, კაცის სულის, გულისა და მანუგეშებელი დიდად. შეუვალი ციხე-კოშკსავით, მცველ მფარველი ჩვენი, ძვირფასი საუნჯე, ჭკუა, ცნობის კოლოფი, ვინ იცის რომის და ევროპის საწიგნეებში ყოფილ რამდენის დიდი სასარგებლო ისტორიული ცნობებით განგვამდიდრებდა და გაგვამტკიცებდა, მაგრამ არ იქნა"...

დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, როცა საქართველოსთან განშორება განსაკუთრებით გაუსაძლისი გამხდარა, აღმოხდომია: „თუ ვეღარ გნახე, ტურფა ედემო და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული, შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო, და მიისვენე შენი ერთგული". მთელი ეს ხანი ის აძლებინებდა უცხოეთში, რომ მისი შრომა საქართველოს სჭირდებოდა და სამშობლოსთან გაყრის ტკივილს შეჭიდებული თავდაუზოგავად შრომობდა. ამ შრომის ნაყოფია თე-

გაგრძელება 27-ე გვ.

ოლოგიური ხასიათის მრავალი წერილი და გამოკვლევა, რომის, მილანის, პეტერბურგის, ვატიკანის, ტრაპიზონის, ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის არქივებსა და წიგნთსაცავებში მოძიებულ-მოკვლეული თარგმნილი და დამუშავებული ფასდაუდებელი ქართული ხელნაწერები, მეტად და მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები, საქართველოში ნამყოფ მისიონერთა რელაციები და ჩანაწერები, ქრისტეფორე დი კასტელის დაფურცლული ალბომის აღმოჩენა, მისი ფურცლების შეგროვება-შეკვრა, სურათების გადაღება, ჩანაწერებისა თუ წარწერების გაშიფრვა, ისტორიული საბუთები, ქართული ზღაპრები, ფოლკლორის ნიმუშები, სულხან-საბა ორბელიანის წერილები, ცნობები გიორგი სააკაძის, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის შემდგენელთა შესახებ, რომის ქართული სტამბის, სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის, ქეთევან დედოფლის წამების, სვიმონ მეფის ტყვეობის, სპარსეთში გასახლებული ქართველობის შესახებ და მრავალი სხვა. ხოლო გვირგვინი ამ დაუცხრომელი შრომისა უთუოდ არის მიხეილ თამარაშვილის მიერ ფრანგულად დაწერილი და მისივე შეუპოვრობის და რუდუნების წყალობით მოძიებული სახსრებით დასტამბული „საქართველოს ეკლესიის ისტორია". 100 სურათითა და ორი გეოგრაფიული რუკით ილუსტრირებული წინასიტყვაობითა და საზიებლით აღჭურვილი ეს710 გვერდიანი ნაშრომი საფრანგეთში ასე შეაფასეს: „...სახელოვანმა ავტორმა მიხეილ თამარათიმ მოგვიძღვნა თავისი შესანიშნავი წიგნი ფრანგულ ენაზე, საუცხოო სტილით, სისწორით და გემოვნებით დაწერილი. ეს თხზულება შესანიშნავია ძველი დროის საბუთების და მასალების საქართველოს ეკლესიის შესახებ, ბრძნული კრიტიკით და თავისი ქვეყნის მტერთა მიმართ წყნარი ტონით. შიგ გამოსჭვივის მხურვალე, მაგრამ შეგნებული პატრიოტიზმი ავტორისა, რომელიც ერთგვარი სისწორით აღნიშნავს თავისი ერის როგორც ბრწყინვალე საქმეებს, ისე შეცდომებს და საშუალებებს, რითაც შეეძლო მას თავი ეხსნა ... მკითხველნი, რომელნიც შეიძენენ ამ დიდებულ თხზულებას, მიუძღვნიან მის ავტორს დიდ მადლობას. ისინი გულის ფანცქალით წაიკითხავენ ამ წიგნში საგმირო ისტორიას იმ ერისას, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივი საშინელი დევნისა და ტანჯვა-წამებისა, შეინარჩუნა სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა თავისი ქრისტიანული ტრადიციების ერთგული".

ერთიანი ქართველობის მადლობა კი მწერალმა სიმონ ქვარიანმა გამოხატა თამარაშვილისთვის რომში მიწერილ წერილში: „... წაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა-ფაქტებით და კარგი ფრანგული ენით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში... წიგნის ავტორს ეტყობა დიდი ერუდიცია და შრომის დიდი უნარი. ბ-ნო მიხეილ, ჭეშმარიტად ვაშა თქვენს მხნეობას, მეცადინეობას და სამშობლოს სიყვარულს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მიხეილ თამარაშვილის კიდევ ერთი ფუნდამენტური თხზულება – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" ორ ტომად, რომელიც საქართველოს ისტორიის არა ერთ ბნელ, მოცულ საკითხს ჰფენს ნათელს. წიგნში შესული უტყუარი დოკუმენტებითა და დასაბუთებული მოსაზრებებით მეცნიერმა გაარკვია და პასუხი გასცა ბევრ მანამდე დაუდგენელ ფაქტსა თუ საუკუნეების მანძილზე უპასუხოდ დარჩენილ კითხვას, გააბათილა ქართველ კათოლიკეთა საკითხის ცრუმკვლევართა მტკიცებანი...

საქართველოსაგან შორსაც მხოლოდ საქართველოსთვის ძგერდა მიხეილ თამარაშვილის გული, გული ადამიანისა, რომელიც ვალდებულებას ყოველთვის სიამოვნებაზე მაღლა აყენებდა, მთელი სიცოცხლე დაუცხრომლად ეწაფებოდა განათლებას, ცოდნას, თვითონ ქონებრივად შევიწროვებული არც შეძლებულებისთვის ფულის თხოვნას თაკილობდა და არც სესხად აღებას, რაკიღა ეს თანხა იმ საქმეში უნდა დაეხარჯა, მის სათაყვანებელ სამშობლოს რომ სასიკეთოდ წაადგებოდა. ყველაფერი მხოლოდ სამშობლოსთვის უნდოდა, მისთვის ემეტებოდა. მის კვლავ ნახვას ნატრობდა, მისთვის თავდადებული – „თუ ველარ გნახე, ტურფა ედემო და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული, შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო და მიისვენე შენი ერთგული"...

ქართულმა მიწამ მხოლოდღა 1978 წელს მიისვენა თავისი ერთგული. იმ წლის შემოდგომაზე მიხეილ თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან ჩამოასვენეს. მადლიერმა ქართველობამ თავის საუკეთესო შვილთაგანს დიდების პანთეონში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

წარმოიდგინე...

რაცომ ჯობდით ასე?

ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდა

სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა „ხანული" ასეა განმარტებული – რძის მოზიარე დიაცნი. უწინ ქართულ სოფელში მეზობლობაში სცოდნიათ: შეამხანაგდებოდნენ თითო ფურის (მეწველი ძროხის ან კამეჩის) პატრონი ხელმოკლე დედაკაცები – ერთ დღეს ერთთან მიიტანდნენ თავ-თავის რძეს, მეორე დღეს – მეორესთან. ასე, რიგრიგობით უწევდა ყველას ერთბაშად ბლომად, რძის დაგროვება და სათითაოდ დღეებავდნენ თავისთვის, ხოლო ანგარიში რომ არ შეშლოდათ, დღეების რიცხვს ჯოხზე აჭდევდნენ. აი ამგვარ შეზიარება-შეამხანაგებას ერქვა ხანულობა.

ბზობის ყვავივით გაქრა, დაიკარგა

ყვავი ზამთარში სოფელს არ შორდება, სარჩოს ძებნაში სულ გარშემო დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით, გაზაფხული ბზობას იწყება ხოლმე და ყვავებიც, სითბოსა და ჰაერში დატრიალებული გაზაფხულის სუნს რომ იგრძნობენ, ეს კი დაახლოებით აღდგომის წინა კვირას, ბზობას ხდება ხოლმე, სოფლიდან აიყრებიან და სოფლის მახლობელ ტყეს მიაშურებენ. ამის შემდეგ ყვავს, სოფელში მოფრენილს იშვიათად ხედავენ და ამიტომაც დარჩენილა თქმა ბზობის ყვავივით გაქრაო, რაც ხატოვნად ითქმის ადამიანზე, რომელიც ერთბაშად გაუჩინარდება.

ბერს ცოლს შეართვევინებს

ძალიან მოხერხებული ლაპარაკი იცის, მარჯვე ენა აქვს, ყველას შეაცდენს. საეკლესიო კანონით, ბერად შემდგარს ცოლის შერთვის ნება არა აქვს. ამ კანონის დარღვევა ბერს სულისწამწყმედ ცოდვად ჩაეთვლება. ეს თქმა გულისხმობს მაჭანკალს, რომელსაც ენა იმდენად უჭრის, რომ თუ მოინდომებს, მოქარგული ენით ბერს შეაცდენს, აღთქმას დაარღვევინებს, სულს წააწყმედინებს და ცოლს შეართვევინებს.

ვინც არა– ქინძარა

ვინც არ გააკეთოს რამე, იმას შერცხვენა ერგოს, სახელგატეხილი იარებოდეს, უარაფროდ დარჩეს.

ქინძარა გარეული ქინძია, საჭმელად უვარგისი. ლაპარაკში ქინძარას მცირე რამ დანაშაულისთვის არგუნებენ ადამიანს, უფრო კი ხუმრობაში ჩასატარებელი შემთხვევისთვის. ამ შემთხვევაში ქინძარა ფრაზის პირველი ნახევრის რითმისთვისაა ნახმარი.

ეჩოსავით თავისკენ მოთლა

ეჩო ცულის მსგავსი მჭრელი სამეურნეო იარაღია, რომელსაც პირი შიგნითკენ (მომხმარებლისკენ) აქვს შებრუნებული. როცა კაცი ეჩოთი ფიცარს თუ ხეს თლის, ნათალი სულ მისკენ სცვივა.

რე და რე ჰქვია რის და რის



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ჰამდენი წლისაა ფეხსაცმელი?

ხომ არ გგონიათ, რომ ჭვინტწაგრძელებული, წვეტიანი ფეხსაცმელი, დღეს რომ ჩვენში აცვიათ, ახალმოდურია? ნურას უკაცრავად! ევროპაში ისინი ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს შემოვიდა აღმოსავლეთიდან და ამგვარი და კიდევ უფრო წაწვეტებული ფეხსაცმელი XV საუკუნეშიც დიდ მოდაში იყო.



საერთოდ კი ფეხსაცმელს ძალზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია ფეხსაცმლის უამრავი სახეობა – ქალამნები, სანდლები, საბო, ქოშები, ჩექმები, კალიგე, კარბატინა, პანტოფლები, კოტურნები, ლაპტები, ლედერსენები, ბოტფორტები და სხვა. არქეოლოგიური გათხრები და რიგი სხვა მასალები იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანს ფეხსაცმელი ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჰქონდა. აღმოსავლეთ ნევადაში, ლამოსის გამოქვაბულში უძველესი ადამიანის სადგომში აღმოჩენილი იქნა სამასი წყვილი ფეხსაცმლის საწყობი – ბალახისგან დაწნული სანდლები. ამ აღმოჩენის მონაწილე არქეოლოგთა აზრით, მანამდე აღმოჩენილი ნაკეთობებიდან ეს ყველაზე ლამაზი იყო. რადიოიზოტოპური მეთოდის საშუალებით დადგინდა, რომ ეს სანდლები დაახლოებით ცხრა ათასი წლისაა.

დღეს მეცნიერთა ხელთ არსებული მონაცემები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ფეხსაცმლის დამზადება ჩვენმა წინაპარმა 20-30 ათასი წლის წინათ დაიწყო.

ამ ხნის განმავლობაში ხის ქერქის ან ტყავის ერთი მთლიანი ნაჭრისგან დამზადებული ნაკეთობიდან ფეხსაცმელი გადაიქცა საკმაოდ რთულ კონსტრუქციად, რომელიც სხვადასხვა მასალისგან და სხვადასხვა მოწყობილობებზე შეკერილი სხვადასხვა დეტალებისგან შედგება.

პირველყოფილი ადამიანი ტერფს დაზიანებისა და დაბალი ტემპერატურისგან დასაცავად იფარავდა. მსგავსმა ფეხსაცმელმა ჩვენამდე ქალამნის ან ფეხზე შემოსახვევი ტყავის ნაჭრების სახით მოაღწია. მერე და მერე ადამიანმა დაიწყო ქსოვილის ნაჭრების ხმარება, რომლებსაც ცხოველთა გამომშრალი ნაწლავებით აკერებდა ერთმანეთს. თასმებიანი სანდლები ლამის შუა საუკუნეებამდე იყო ხმარებაში. ფეხსაცმელი თანდათან იცვლიდა სახეს. გაჩნდა ღრმა ტომრის სახის ტყავის უძირო და უქუსლო ფეხსაცმელი. ძირის სწრაფმა ცვეთამ მისი უფრო სქელი მასალისაგან დამზადება უკარნახა ფეხსაცმლის მკერავებს, ხოლო რაკი უფრო

გაგრძელება 30-ე გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად მაშინაც ქუსლი ცვდებოდა, გაჩნდა დღევანდელი ქუსლის მსგავსი რაღაც დანამატი. ქუსლიანი ფეხსაცმელი კი, როგორც ასეთი, XVII საუკუნეში გაჩნდა მაღალყელიან (წვივამდე) ფეხსაცმელთან ერთად. ასეთი ფეხსაცმელი (ქალისაც და მამაკაცისაც), სხვადასხვა სამშვენისებით – ბაფთებით, თასმებით, ვერცხლის ან ოქროს ბალთით, ის კი არა, ძვირფასი თვლებითაც კი იყო ხოლმე მორთული. ასეთ ფეხსაცმელს XVIII საუკუნეში თეთრ წინდებსა და მოკლე, ტანზე მომდგარ პანტალონებზე იცვამდნენ ხოლმე კავალრები.

1450 წლიდან მოყოლებული, ფეხსაცმლის წაგრძელებული, წვეტიანი ჭვინტი უფრო მოკლდება და მრგვალი, იხვის ნისკარტისებური ხდება. ამგვარი ღია, განიერ და მომრგვალებულცხვირიანი ფეხსაცმელი უფრო ხშირად ყვითელი ან შავი ტყავისგან იკერებოდა, არისტოკრატია კი ფერადი ტყავის, ხავერდის ან აბრეშუმისგან შეკერილ ფეხსაცმელს ატარებდა.

XIX საუკუნეში ინგლისში გაჩნდა ძალზე პრაქტიკული დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი. ამ სახის ყველანაირი ფეხსაცმელი (თასმებიანი, ყელიანი, ნახევრადყელიანი და სხვა.) მხოლოდ შავი ან ყავისფერი ტყავისგან იკერებოდა, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის შავი ლაქის ტყავისგანაც, ხოლო მსუბუქ საზაფხულო ფეხსაცმელს კი თეთრი ტილოსგან კერავდნენ.

დაახლოებით ამ ტიპის ფეხსაცმელია დღესაც ძირითადად ყველაზე გავრცელებული, თუმცა დრო და დრო რეტროს სტილიც შეგვახსენებს ხოლმე თავს.





სიტყვის გაჯეთილი

უფროსებს ძალიან მოეწონათ ჯონის სხარტი სიტყვა-პასუხი, განსწავლულობა და ათასგვარი საქებარი სიტყვით შეამკეს იგი. მაგრამ ერთმა სქელმა მამაკაცმა არ გაიზიარა დანარჩენის აზრი და შენიშნა:

–ისინი, ვინც ბავშვობაში გონიერებას ამჟღავნებენ, დიდობაში, როგორც წესი ჩლუნგები და ბრიყვები არიან.

–როგორ გეტყობათ, სერ, რომ პატარაობისას ძალიან ჭკვიანი ბავშვი ყოფილხართ, – შენიშნა ჯონმა.

***

მაქსი ცხარე ცრემლებით ტირის სკოლის დერეფანში. კლასის დამრიგებელი ეკითხება:

–რა გატირებს, რა მოხდა?

–მათემატიკის მასწავლებელი კიბეზე დაგორდა.

–მაგიტომ ტირი, ჩემო კარგო? დამშვიდდი, მას არაფერი დაშავებია, კარგად არის.

–როგორ არ ვიტირო, როცა ყველამ დაინახა, როგორ მოგორავდა, მე კი ამ დროს ტუალეტში ვიყავი.

***

მასწავლებელი: არ გრცხვენია, ალექს, ყველა მაგალითი ამხანაგებისგან გაქვს გადაწერილი!

მოსწავლე: რატომ ყველა, მასწ, მარტო ცხრა მაგალითის გადაწერა მოვასწარი.

***

მასწავლებელი: აბა, ვინ მეტყვის, რატომ ახვევენ ცეცხლწაკიდებულ ადამიანს ტანზე პალტოს ან საბანს?

მოსწავლე: რომ არ გაცივდეს, იმიტომ.

***

მასწავლებელმა ტომის საშინაო დავალება რომ შეამოწმა, გაოგნებულმა შესძახა:

–ვერ გამიგია, როგორ მოახერხა ერთმა ადამიანმა ამდენი შეცდომის დაშვება?

–ერთმა რატომ, მასწ? მამაჩემიც მეხმარებოდა.

***

მასწავლებელი: როგორ ზრდიდნენ ძველ სპარტაში ბიჭებს?

მოსწავლე: ძველ სპარტაში ბიჭებს ასწავლიდნენ, რომ ტრანსპორტში უფროსებისათვის ადგილი უნდა დაეთმოთ.

***

–შვილო, როგორ მოხდა, რომ ისტორიის გარდა ყველა საგანში ორიანი გიწერია?

–ისტორიაში ჯერ არ გავუძახივარ, მამა.

–ათი თვისამ ავიდგი ფეხი,– უთხრა პატარა ელზამ ამხანაგს.

–დიდი ამბავი! მეც შემეძლო სიარული, ათი თვისა რომ ვიყავი, მაგრამ მშობლებს არ გავუმხილე და მათ ორ წლამდე ხელში აყვანილი დავყავდი.

***

–არც ერთი შეცდომა არ არის, – უთხრა მათემატიკის მასწავლებელმა ფრანტიშეკს, მისი საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ, – ოღონდ ნუ დამიმალავ, მითხარი, მამაშენს ვინმე მიეხმარა?

***

–მამა, იმ ამოცანაში, გუშინ რომ ამომიხსენი, ორი შეცდომა დაგიშვია, – უთხრა მაქსმა მამას.

–რას ამბობ? – შეწუხდა მამა.

–არა უშავს, ვერც სხვა მამებს ამოუხსნიათ.

***

–ვაიმე მამი, გალიაში იადონები აღარ არიან.

–აი, თურმე, რატომ ამღერდა ჩვენი კატა!

***

–ყოჩაღ, რენატო, ძალიან გამახარე, ამ ბოლო დროს შენ სწავლას მოუმატე, ალბათ ვინმე გეხმარება გაკვეთილების მომზადებაში? – ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს.

–არა, მასწავლებელო, არავინაც არ მეხმარება, უბრალოდ, ორი კვირაა, რაც ტელევიზორი გაგვიფუჭდა და ჯერ არ შეგვიკეთებია.

იწილდ-მიწილდ

გეოგრაფიული კროსვორდი



პარალელის მიმართულებით: 1. კუროორტი ბორჯომის ხეობაში. 3. სახელმწიფო ჩვენს ერამდე. 7. ინგლისის ქალაქი. 8. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ კონტინენტზე. 12. მთათა სისტემა აზიაში. 15. მთები აზიაში. 17. სახელმწიფო ევროპაში. 21. კონტინენტი (მატერიკი, ქვეყნის ნაწილი). 23. ზეგანი ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

მერიდიანის მიმართულებით: 1. კავკასიონის მწვერვალი. 2. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 4. მდინარე დასავლეთ ევროპაში. 5. მხარე დასავლეთ ციმბირში. 9. ქალაქი პერუში. 10. ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე. 11. მთის სოფელი. 12. მახვილწვერიანი მწვერვალი. 13. ქალაქი საუდის არაბეთში. 14. მნიშვნელოვანი ქვანახშირის აუზი გერმანიაში. 15. ორი ზღვის შემაერთებელი ვიწრო ზოლი. 16. სახელმწიფო აზიაში. 18. მდინარე საფრანგეთში. 19. ატლანტის აუზის ზღვა. 20. ტბა ამერიკაში.



ამ ორ ნახატზე 7 ერთნაირი დეტალია, მოძებნეთ ისინი.

საქართველოს მოძალადე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძო სკოლა
„ჯეჯილი“

კერძო სკოლა
„ჯეჯილი“

„ნუნუ
ავაგუმაშვილის“
საშუალო სკოლა

სკოლა „აისი“

ძაღლები

წითელი ვითარება

ფესვები